F 75/2 /13832

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეოთხე წელიწადი

კომუნისტი

ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
(ამ. სრ. საქ. მ., გ., წ. ს. და მაზრ.
დეპ. საბ.)
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფონი. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58.

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24
ტელეფონი 10—49.

წლის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში— 1 მან. 50 კ. ქალაქს გარეშე მიწერით— თვიური—1 მან. 60 კ. კოლექტ. ხელის მოწ. 1 მან. 20 კ. განცხადება 20 კ. სტრიქონი. ნომრის სამგლოვიარო განცხადება 5 მან. ჩვეულ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ ორ საათ.

№ 37 (889) ხუთშაბათი, 14 თებერვალი 1924 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 6 კაპ. ჩერვონცებით. № 37 (889)

დღიური

თემთა პალატაში მთავრობის დეკლარაციით ინგლისის საგარეო და საშინაო პოლიტიკის შესახებ გამოვიდა მაკდონალდი.

საფრანგეთის საავტომობილო წარმოებათა მუშების გაფიცვა დამთავრდა მუშების გამარჯვებით.

მთელ გერმანიაში სხვადასხვა წარმოებათა პროფკავშირების არჩევნებში სოციალ-დემოკრატები მარცხდებიან.

რუსეთის ბევრ ადგილებში მძვინვარებს ქარ-ბუქი.

გაიხსნა სპარსეთის მეჯლისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერთან ერთად ხელისმომწერლებს უფასოდ დაურიგდა ამხ. ლენინის სურათი. კერძო პირთათვის სურათი ღირს 10 კაპ. ჩერ.

„ნეპის“ ზოგიერთი უარყოფითი გავლენაზე

ახალ ეკონომიურ პოლიტიკას მრავალ დადებითი მხარეებთან ერთად საკმაოდ ბლომად ახლავს უარყოფითი მომენტებიც.

დღეს გვინდა შევჩერდეთ ზოგიერთ მათგანზე.

ჩვენ ყოველმხრივ გარშემორტყმული ვართ ბურჟუაზიული სტიქიით. უეჭველად არსებობს საფრთხე ჩვენი პსიქოლოგიური და ყოფაცხოვრების მეშჩანური გადაგვარების.

ჩვენ უნდა განვსხვავდებოდეთ სხვებისაგან, დანარჩენი კლასების წარმომადგენლებისაგან არა მარტო თეორიული შეხედულებებით და საზოგადოებრივი მოქმედებით, არამედ კერძო და პირად ცხოვრების თავისებურობითაც. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ჩვენ ისე ვატარებთ დროს, როგორც სხვები, როგორც მეშჩანური ბურჟუაზია, როგორც „ობივატელი“, ეს იმის მაჩვენებელი იქნებოდა, რომ ჩვენში ჯერ კიდევ არ არის ამოფხვრილი წარსულის ნაშთები, ან თანდათან ვინთქებით ბურჟუაზიული ყოველდღიური ცხოვრების ჭაობში.

განსაკუთრებით დიდია ეს საფრთხე იმ ამხანაგებისათვის, რომელთაც თავიანთი მოვალეობის გამო უხდებათ უშუალო დამოკიდებულების დაჭერა „ნეპის“ ხალხთან.

ამ მხრივ კომუნისტურ ცხოვრების ხაზიდან გადახრა დღევანდელ პირობებში შეიძლება გამოიხატოს ათასგვარ ფორმაში. პირველშეხედვით ხშირად წვრილია და უმნიშვნელო ეს „გადახრა“, მაგრამ დამახასიათებელი და საერთო ჯამით დიდი ზიანის მომტანი.

ავილოთ ზოგიერთი მაგალითები.

მიაქციეთ ყურადღება ავტომობილებით სარგებლობას. ერთ დროს ამ საკითხის შესახებ ცხარე კამპანია წარმოებდა როგორც რუსეთში, ისე აქაც. მოსკოვში დანიშნული იყვნენ სპეციალური კომისიები, რომლებსაც დავალებული ჰქონდათ თვალყური ედევნებიათ სახელმწიფო ავტომობილების მოძრაობისათვის, თუ ვინ დადიოდა მით და რა მიზნით.

გაზ. „პრავდა“-ში გამოქვეყნებული იყო მასალა, რომლიდანაც ირკვეოდა, რომ დაწესებულებათა ავტომობილებით დასეირნობდნენ ისეთი პირები, რომელთაც ამის უფლება მდგომარეობით არ ჰქონდათ მიკუთნებული და რომელნიც ხშირად სრულებით უცხონიც კი იყვნენ საბჭოთა ხელისუფლებისათვის.

ასე იფლანგებოდა ხალხის ქონება.

ამასთან არის შემთხვევა, როცა თანამდებობის პირნი სარგებლობენ სახაზინო ეტლებით, ავტომობილებით პირადი, კერძო საჭიროებისათვის, ან ნამდვილი საჭიროების გარეშე, მაგ., როცა ამა თუ იმ თანამდებობის პირის ბინა გვერდზე აკრავს მის დაწესებულებას, მაინც ის ფეხით გავლას გაურბის.

ავილოთ სხვა ფაქტები. ზოგიერთი მოსამსახურე პირები ეწევიან ხელგაშლილ ცხოვრებას, ქეიფში ატარებენ დროს. ამ ნიადაგზე მჭიდრო ურთიერთობა აქვთ მუშათა კლასისთვის უცხო ელემენტებთან.

რა წყაროებიდან? ჯამაგირი ამისათვის არ ეყოფათ.

ან კიდევ: ზოგიერთ სამეურნეო დაწესებულებებში კერძო პირები, „საქმის ხალხი“ ადვილად აჩერხებენ საქმეების „მოკვარახჭინებას“, ხშირად სახელმწიფოს საზიანოდ რაიმე იჯარას მიღებას და სხ. მაშინ, როცა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოების წარმომადგენლებს ეს უძნელდებათ, სახელმწიფოსათვის უფრო მისაღებ პირობებშიც.

ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, საერთო მოვლენა კი არ არის, არამედ შემთხვევები, მაგრამ ისეთი შემთხვევები, რომელნიც ქმნიან არაჯანსაღ ატმოსფერას.

ეს მოვლენები მოწმობენ, რომ ბევრი ჩვენთაგანი უხვევს პარტიის ხაზს თავის კერძო ცხოვრებაში, ხანდახან საზოგადოებრივ საქმეებშიაც კი.

ზოგიერთი ჩვენთაგანი შებოჭილია სხვადასხვა კავშირით ნათესავებთან, პირად მეგობრებთან, ნაცნობებთან და სხვა ელემენტებთან, რომელთა გავლენაში ისინი ექცევიან, ხოლო ამასთან სუსტდება ნამდვილი კავშირი პარტიასთან, იბღალება კომუნისტის სახე.

ყველაფერი ეს ძალიან ცუდი სიმპტომებია. ასეთ მოვლენებს შეაქვთ დემორალიზაციის მომენტი პარტიაში, ისინი სცემენ პარტიის ღირსებას უპარტიო მშრომელ მასაში, ამასთან აძნელებენ სალი პარტიულ და საბჭოთა მშენებლობას, მთელი ჩვენი ცხოვრების გაჯანსაღებას.

დაუნდობელი ბრძოლა ჩვენს რიგებში „ფუფუნება“-სა და სხვა სიმახინჯესთან, რომელიც ანარეკლია ახალი ეკონომიური პოლიტიკის, ბურჟუაზიული სტიქიის,—ასეთია ჩვენი ამოცანა.

ამ გარემოებას მიაქცია ყურადღება პარტკონფერენციამაც, რომლის რეზოლიუციის ერთი მუხლი ამბობს: „განსაკუთრებული მნიშვნელობა დღევანდელ პირობებში აქვს საკონტროლო კომისიების ბრძოლას ე. წ. „ფუფუნებასთან“ სახელმწიფო აპარატში და მისი ცალკე ხელმძღვანელების მხრით. ახალი ეკონომიური პოლიტიკის გამხრწნელი გავლენა ჩვენი პარტიის წევრებზე და, კერძოდ, ცალკე პასუხისმგებელ მუშაკებზე უნდა წააწყდეს მთელი პარტიის მხრით გადაჭრილ წინააღმდეგობას“.

ჩვენი პარტიის ამიერ კავკასიის საკონტროლო კომისიასთან დაარსდა ფუფუნებასთან მებრძოლი საგანგებო კომისია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთი კომისია უნდა დაარსდეს ყველა კომუჯრედთან. ჩვენი ამხანაგების და პარტიასთან ახლო მყოფ ელემენტების მოქმედების კანტროლი უნდა შეადგენდეს მათ მოვალეობას.

ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ყოველი კომუნისტი, მით უმეტეს პასუხისმგებელი ამხანაგი იყოს ამ სახელის ღირსი არა მარტო რევოლიუციონურ ბრძოლაში, არამედ ყოველდღიურ ცხოვრებაშიც.

ყოველგვარი „ფუფუნება“, ყოველგვარი მეშჩანური ჩვეულება და ბურჟუაზიული გადახრა ჩვენს ყოფა-ცხოვრებაში სასტიკად უნდა იქნას დევნილი ჩვენს რიგებში.

„წარმოკავშირი“ ცენტრია საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციისა *)

> ...„გლეხის მეურნეობა წარმოადგენს მრეწველობის აღდგენის და, მაშასადამე, მუშათა კლასის ზრდის მთავარ ბაზას, რადგან სოფლის ბაზარი მთავარი მასიური ბაზარია მრეწველობის ნაწარმოებისათვის. მეორე მხრივ, გლეხური მეურნეობა არის ჩვენი მრეწველობისათვის მთავარი მიმწოდებელი. ამიტომ რაც შეიძლება მეტი დახმარება გლეხური მეურნეობისათვის ნაკარნახევია საბჭოთა ხელისუფლების არა მარტო საერთო ინტერესებით, არამედ თვით მრეწველობის სასწრაფოდ განვითარების ინტერესებით“.
> (ამონაწერი რ. კ. პ. მე-13 კონფერენციის რეზოლიუციიდან ეკონომ. პოლიტიკის მორიგი ამოცანების შესახებ).

ამ რამდენიმე დღეების წინათ რუსეთის კომუნისტური პარტიის მე-13 კონფერენციაზე ირჩეოდა საკითხი ეკონომიური პოლიტიკის მორიგი ამოცანების შესახებ. მთავარი ყურადღება მიექცა წარმოების რაციონალურათ დაყენებას და მტკიცედ გამომუშავებული გეგმით მუშაობას.

აშკარაა, რომ არავითარ ორგანიზაციას არ შეუძლია არსებობა, თუ ის არ ექვემდებარება ერთგვარ სისტემას. მით უმეტეს ამის თქმა შეიძლებოდა დღევანდელ ჩვენ სასოფლო მეურნეობაზე. თუ რომელიმე დარგში დღეს საჭიროა წინასწარ გამომუშავებული გეგმით მუშაობა და ხელმძღვანელობა, ეს უეჭველათ ითქმის ჩვენ სოფლის მეურნეობაზე. ის მოითხოვს მეტ გამოცდილებას, პრაქტიკას, შრომის განაყოფიერებას, მეურნეობის გაფართოებას და კოლექტიურ თანამშრომლობას.

სოფლის მეურნეობის აღდგენა სასიცოცხლო საკითხია მუშურ-გლეხური ხელისუფლებისათვის, მხოლოდ სოფლის მეურნეობის წესიერათ დაყენებით არის სხვათაშორის შესაძლო იმ უფსკრულის მოსპობა, რომელმაც გაჰყო სოფელი და ქალაქი და რომლის სიმწვავეს განიცდის გლეხი. როგორც პარტიულმა ისე საბჭოთა ყრილობამ მაკრატლის პრობლემის მოგვარების საკითხი დღიური ამოცანათ დასახეს და ამ მიმართულებით უკვე გადადგმულია პრაქტიკული ნაბიჯები.

პარტიის მე-13 კონფერენციის მიერ ეკონომიური პოლიტიკის მორიგი ამოცანების შესახებ მიღებულ რეზოლიუციაში ნათქვამია: „კოოპერაციის და სახელმწიფო ვაჭრობის ყოველმხრივი გაძლიერება და მათი სამოქმედო ასპარეზის გაფართოება წარმოადგენს სოციალისტური მეურნეობის სფეროს გაფართოებას“... და სხვა. აქედან აშკარად სჩანს, რომ სოციალისტური მეურნეობის გაფართოება შეუძლია ძლიერ კოოპერაციას. კოოპერატიულად მკვიდრ ნიადაგზე ჩამოყალიბებული მეურნეობა ჩანასახია სოციალისტურის.

როგორია დღეს საქართველოს სოფლის მეურნეობა და ვინ ხელმძღვანელობს მისი მოწესრიგების საქმეს?

უნდა ითქვას აშკარათ, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობა სდგას ტეხნიკური კულტურის დაბალ დონეზე მცირე გამონაკლისით. მიწა მუშავდება პირველყოფილი სახნისით და კავით. ასეთივე მდგომარეობაშია მეურნეობის ყველა დარგი, რომელსაც სჭირდება ორგანიზაცია და ხელმძღვანელი. ასეთი ორგანიზაციით კი საბჭოთა ხელისუფლებას ყავს მიჩნეული სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია, რომელსაც მთავრობის დეკრეტმა გაუხსნა გზა და მისცა ფართე ასპარეზი მუშაობის გასაცხოველებლათ.

მთავრობის დეკრეტის შემდეგ, როდესაც სასოფლო სამეურნეო კოოპერაციას საქართველოში კანონიერი სახე მიეცა, ისმება კითხვა, როგორი მთლიანი ხელმძღვანელი აპარატი უნდა ეყოლოს ყველა ცალკე კოოპერატიულ ამხანაგობებს.

საქართველოს სოფლის ერთგვარი მეურნეობა გავრცელებულია ქვეყნის მრავალ კუთხეში, მაგ. ავილოთ ჩვენ მევენახეობა. მევენახეობა ძლიერ გავრცელებულია კახეთში, შემდეგ იმერეთში, სვირის და ბაღდათის რაიონებში და რაჭაში სოფ. ჭრებალოში. იგივე ითქმის მეაბრეშუმეობაზე, მეჯოგეობაზე, მეხილეობაზე და სხვ. ისმება კითხვა. საჭიროა, თუ არა საერთო ხელმძღვანელობა ერთი სახის კოოპერატიულ ორგანიზაციებისა? გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ეს აუცილებელიცაა. მაგალითისათვის ავილოთ მევენახეობა. მევენახეობას სჭირდება საწამლავი მასალები და მანქანები და სხვა. კოოპერატიულათ გაერთიანებული რამდენიმე ამხანაგობა თავისი ცენტრის საშუალებით მიიღებს ყოველივეს, რაც მას სჭირდება, რაც შესაძლებელი იქნება ერთი აპარატის საშუალებით, რომელიც მთელი საქართველოს მევენახეობას უხელმძღვანელებს, შეისყიდის საკმაო გოგირდს, შაბიამანს და ყოველივეს, პირველი წყაროებიდან. და ვინაიდან ერთობ დიდი რაოდენობა იქნება შესაძენი—აშკარაა, რომ პირველ წყაროებიდან შეძენილი, გაცილებით იაფი დაჯდება, ვიდრე [illegible] თუ გნებავთ ცალკე ვაგონობით შეძენილი. იმის გარდა რომ იაფი დაჯდება—ეს იმიტომაც არის კიდევ მნიშვნელოვანი, რომ ცენტრს გამოანგარიშებული აქვს რამდენი უნდა შეიძინოს და მეურნეობა არ დარჩება უყურადღებოთ. ამასთანავე დაკავშირებული ყოველ დარგში სპეციალისტ-ხელმძღვანელთა კადრის შექმნა. ნაწარმოების რეალიზაცია—ესეც სისტემით და ყოველი არევ-დარევის გარეშე იწარმოებს. აგრეთვე უნდა ითქვას ხორბლეულების მოყვანის შესწავლაზე. გლეხს წინააღმდეგობას უწევს ბუნების სტიქია: სეტყვა, წყალდიდობა, გვალვა და სხვა. ყოველივე ამას უნდა წინასწარ გათვალისწინება და ზომების მიღება. აშკარაა, რომ ცალკე მეურნეს არ შეუძლია ღრუბლების გამფანტავი იარაღის შეძენა, როდესაც კოოპერატიულად შეკავშირებულ ძლიერი ამხანაგობისათვის ეს შედარებით ადვილი საქმეა.

აქედან სჩანს, რომ საქართველოს მეურნეობას სჭირდება ერთი ხელმძღვანელი ორგანიზაცია და არამც და არამც რამდენიმე, რაც არევ-დარევის მეტს სარგებლობას არ მოუტანს კოოპერატიული მუშაობას. ასეთი კოოპერატიული ორგანიზაცია, რომელმაც საქართველოს სასოფლო-მეურნეობის აღდგენაში დიდი მუშაობა უნდა აწარმოოს, რომელსაც აქვს საკმაო გამოცდილება და აკავშირებს მრავალ სამეურნეო ამხანაგობებს, არის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ცენტრი წარმოკავშირი.

წარმოკავშირი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ცენტრია და დღევანდელი მისი ცოცხალი აპარატი გვაძლევს უტყუარ იმედს, რომ ის მტკიცეთ დააყენებს ჩვენს სოფლის მეურნეობას მკვიდრ სოციალისტურ რელსებზე. მოახერხებს აგრეთვე მუშებსა და გლეხებს შორის მჭიდრო კავშირის დაწესებას, რაც გვიანდერძა ჩვენმა დიდმა მასწავლებელმა ლენინმა.

ვლ. ცაგარელი.

---

*) ვინაიდან სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ცენტრისა და სხვა მასთან დაკავშირებულ კითხვების შესახებ აზრთა გაცვლა-გამოცვლა სწარმოებს დღეს, ჩვენ ვათავსებთ ამხ. ცაგარელის წერილს ამ საკითხზე. რედ.

საბჭოთა კავშირის მთავრობა



რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტა“-ს ცნობები)

საბჭოთა კავშირის ცნობის გარშემო

იტალიაში

ჩიჩერინის განცხადება

რომი. 13 თებერვალი. იტალიის პრესის ცნობებით, ჩიჩერინმა განაცხადა, რომ საბჭოთა მთავრობის ცნობა ინგლისის და იტალიის მიერ გავლენას მოახდენს სხვა ერებზეც. ჩიჩერინმა დაუმატა, რომ საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილება ჩამორთმეულ კაპიტალისა და ქონების შესახებ—ურყევია და ვერავითარი ძალდატანება ვერ აიძულებს მას რაიმე ცვლილება შეიტანოს ამ საკითხში. შემდეგ ჩიჩერინმა განაცხადა, რომ საბჭოთა მთავრობა აწარმოებს მშვიდობიანობის პოლიტიკას და მისთვის უცხოა რაიმე მტაცებლური მისწრაფებები.

ელჩის დანიშვნა.

რომი. 13 თებერვალი იტალიის ელჩათ მოსკოვში დანიშნულია გრაფი მანცონი, რომელიც დღეს მიემგზავრება დანიშნულების ადგილას.

ინგლისში

საბჭოთა კავშირის ცნობის შემდეგ.

ლონდონი. 11 თებერ. ჰენდერსონმა საბჭოთა კავშირის ცნობის საკითხის შესახებ განაცხადა, რომ საბჭოთა რუსეთის ცნობით დაინტერესებული იყო მუშა ამრჩევლების დიდი უმრავლესობა. „ცნობა,—სთქვა ჰენდერსონმა,—რამდენიმე კვირის შემდეგ გააუმჯობესებს ინგლისის ვაჭრობას და შეამცირებს უმუშევრობას“.

რუმინეთში

რუსეთ-რუმინეთის კონფერენცია.

ვენა. 11 თებ. რუმინეთის გარეშე საქმეთა სამინისტროში სწარმოებს მზადება რუსეთ-რუმინეთის კონფერენციისათვის, რომელიც გაიმართება ვენაში.

შვეციაში

შვეცია და საბჭოთა კავშირი.

სტოკჰოლმი. 12 თებერვალი. რიკსდაგში პრემიერი პრიუგერი იცავდა სამხედრო რეფორმას და ეთანხმებოდა ოპოზიციას იმაში, რომ შვეციის სამხედრო პოლიტიკური მდგომარეობა ბალტიის სახელმწიფოების დაარსების შემდეგ გაუმჯობესდა, მაგრამ მეორეს მხრივ ცოტაოდნად გაუარესდა. სოც.-დემოკრატი ენბერგი მოითხოვდა საბჭოთა კავშირთან მეგობრულ ურთიერთობის განახლებას და აღნიშნავდა რომ შვეციის მთავრობის პოლიტიკა ცუდ გავლენას ახდენს ქვეყნის ინტერესებზე. კომუნისტების ბელადი ჩილბუმი წინადადებას იძლეოდა პროლეტარიატის წინააღმდეგ მიმართულ ბურჟუაზიულ დავლაცვის ნაცვლად მოეწყოს მუშათა და გლეხთა მილიცია.

ავსტრიაში

საბჭოთა კავშირის იურიდიულად ცნობისათვის.

ვენა. 11 თებერვალი. გაზეთების ცნობით, ავსტრიის გარეშე საქმეთა მინისტრი გრიუნბერგერი სამშაბათს გამოვიდა პარლამენტში განცხადებით, რომლის მიხედვით ახლო მომავალში უნდა მოხდეს საბჭოთა კავშირის ცნობა ავსტრიის მიერ.

ჩეხო-სლოვაკია

საბჭოთა კავშირის ცნობას ემხრობა ჩეხო-სლოვაკია.

პრაგა. 11 თებ. „ჩესკო-სლოვენსკა სამოსტოიატელნოსტ“-ი სწერს, რომ ჩეხო-სლოვაკიის ყველა პარტიები, გარდა ნაციონალ-დემოკრატებისა, რომელთაც ხელმძღვანელობს კრამარჟი, ემხრობიან საბჭოთა კავშირის ცნობას.

მდგომარეობა ინგლისში

მუშები და მუშათა მთავრობა.

ლონდონი. 12 თებერვალი. მუშათა პარტიის მემარცხენე წრეები უკმაყოფილო არიან მით, რომ შოტლანდიის საქმეთა სახელმწიფო იურისკონსულტის თანამდებობაზე დანიშნულია კონსერვატორი. მიტინგზე მუშათა პარტიის მემარცხენე ფრთის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა ნეილ მაკ-ლინმა განაცხადა, რომ ინგლისის ეხლანდელი მთავრობა არ არის ნამდვილი მუშათა კლასის მთავრობა და საეჭვოა, რომ მან შესძლოს მუშათა პარტიის სრული პროგრამის განხორციელება. თუ მთავრობა, განაცხადა მაკ-ლინმა, პირველ რიგში არ დასვამს პირველი მნიშვნელობის საკითხებს, ის დაჰკარგავს პატივისცემას მუშების მხრივ; თუ ის გაატარებს მხოლოდ ზომიერ კანონმდებლობას, რომელიც მისაღებია კონსერვატორების და ლიბერალებისათვის, მათ წინააღმდეგობას გაუწევენ ინგლისის მუშები.

მაკდონალდის დეკლარაცია

ინგლისის საგარეო და საშინაო პოლიტიკა

ლონდონი. 13 თებერ. დღეს თემთა პალატის სხდომაზე მაკდონალდმა წაიკითხა დეკლარაცია მთავრობის პოლიტიკის შესახებ. თემთა პალატა სავსეა ხალხით. გარეშე ხალხს შორის მრავალი გამოჩენილი მოღვაწეა, მათ შორის დიპლომატიური კორპუსის წევრები.

შეეხო რა საგარეო საქმეებს, მაკდონალდმა განმარტა, რომ მან თავის თავზე აიღო ორი მოვალეობა იმისათვის, რომ უფრო მეტი წონა მისცეს იმ პოლიტიკას, რომელიც სახელმწიფომ უნდა აწარმოოს.

მან განაცხადა, რომ გადახწყვიტა დაუყოვნებლივ იცნოს რუსეთი და ეს ნაბიჯი მოწონებულია სამინისტროს ყველა წევრების მიერ. მას სურს მოაგვაროს ყველა სადაო საკითხები ინგლისსა და რუსეთს შორის. პირველ ნაბიჯს ამისათვის წარმოადგენს რუსეთის ცნობა. მას განზრახვა აქვს გაგზავნოს მოსკოვში ყველა მოუწესრიგებელ დაბრკოლებათა სია, როგორც კი ის გამომუშავებული იქნება საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ. მან წინადადება მისცა დაუყოვნებლივ გადასინჯული ყოფილიყო (ეს გადასინჯვა უკვე სწარმოებს ფაქტიურად) ყველა ის პრეტენზიები, რომელიც საბჭოთა მთავრობამ წარმოადგინა ვალების შესახებ და საბჭოთა მთავრობა დასთანხმდა თავისი წარმომადგენლების დანიშვნაზე ინგლის-რუსეთის კომისიაში. ეს კომისია განიხილავს ვალებს და აგრეთვე სიაში აღნიშნულ სხვა საკითხებს.

მაკდონალდს იმედი აქვს, რომ კვირის ბოლომდი რაკოვსკი უკვე იქნება გზაში მოსკოვისკენ, რომ მიიღოს საბოლოო ინსტრუქციები საბჭოთა მთავრობისგან მოლაპარაკების დასაწყებად. „ჩქარა,—ამბობს მაკდონალდი,—ჩვენ მოვაგვარებთ ურთიერთობას, რომ დავიწყოთ ახალი ხანა, რომლის დროსაც ჩვენ, იმედი მაქვს, უფრო მეტი მეგობრული ურთიერთობის ფურცელს ჩავსწერთ ორი ქვეყნის ისტორიაში“.

შემდეგ მაკდონალდი შეეხო საფრანგეთთან ურთიერთობის საკითხს. მან განაცხადა, რომ ამ საკითხის გამო დღეს გარკვეული აზრის ვერ გამოსთქვამს, რის გამო ძლიერ სწუხს, მაგრამ დაუმატა: „მე ბედნიერი ვარ, რომ შემიძ-

ლი განვაცხადო—თუ რამე სრულიად მოულოდნელი არ მოხდა, და მე არ ვფიქრობ, რომ ეს შესაძლებელია,—მე იმედი მაქვს, რამდენიმე დღის განმავლობაში მიღწეული იქნება შეთანხმება პალატინატის შესახებ. მე ვსარგებლობ პირველი შემთხვევით, რომ ღრმა მადლობა გადაუხადო პუანკარეს გულწრფელი თანამშრომლობისათვის იმ წინადადების საპასუხოთ, რომელიც ამ საკითხის შესახებ მე მას გაუგზავნე. ჩემს პირველ ამოცანას შეადგენდა უფრო უკეთესი ატმოსფერა შემექმნა ინგლისის და საფრანგეთის ურთიერთობაში ჩვენი დიპლომატია უნდა იყოს სავსებით ობიექტიური, აბსოლიუტურად გულწრფელი, ის უნდა იყოს ყველა ამბების კურსში და სწორეთ ასეთივე პასუხს უნდა მოელოდეს მეორე მხრიდანაც. „ინგლისი,—განაგრძო პრემიერმა,—ყოველთვის ვერ დაეთანხმება იმას, რასაც გააკეთებს საფრანგეთი. ინგლისი არ მოელის, რომ საფრანგეთი ყველაფერში ინგლისის სურვილების თანახმად მოიქცევა, მაგრამ დარწმუნებულია, რომ არ არის ისეთი საკითხი, რომლის მოგვარება შეუძლებელი იქნება, თუ ამის სურვილი იქნება ორივე მხრით".

მაკდონალდი ფიქრობს, რომ თუ შეთანხმების პოლიტიკა გაგრძელდება ისე, როგორც დაიწყო, ინგლისი და საფრანგეთი ამ წლის დამლევამდე გახდებიან გულწრფელი თანამშრომლები. მაგრამ ის ვერავითარ ნაბიჯს ვერ გადასდგამს, სანამ არ მიიღებს მოხსენებას ექსპერტთა კომისიისაგან. როგორც კი ეს მოხსენებები მიღებული იქნება, ის ფიქრობს, რომ დადგება დრო ყველა პრობლემების, ვალდებულებათა და სხვა მოსაგვარებლად.

მაკდონალდმა დასძინა, რომ გარეშე საქმეთა მინისტრის საბოლოო მისწრაფება უნდა იყოს შეთანხმების ან შეთანხმებათა მიღწევა. ეს იქნება დამამტკიცებელი საბუთი ნაყოფიერი პოლიტიკისა. ეს არის ღრმად გამჯდარი მის შეგნებაში. ის მთელ თავის ენერგიას მოახმარს იმას, რომ გაძლიეროს ერთა ლიგის წარმომადგენლობითი ხასიათი და ავტორიტეტი. ერთა ლიგა უფრო და უფრო მიიღებს საერთაშორისო სასამართლის ხასიათს იმ საკითხების გადასაჭრელად, რომლებიც ორი ერისათვის ძნელი გადასაჭრელი იქნება.

გერმანია უნდა შევიდეს ერთა ლიგაში და მას იმედი აქვს, რომ რუსეთიც შევა მასში. მთავრობა პირველყოვლისა იმუშავებს ევროპის პრობლემის გადასაჭრელად, მაგრამ ის დარწმუნებულია, რომ, როდესაც ამერიკა გაიგებს, რომ ამ პრობლემის გადასაჭრელად მუშაობენ ახალი თვალსაზრისით, ენტუზიაზმით და იდეალიზმით, მაშინ ის, ამერიკა, სავსებით მზად იქნება შეიტანოს თავისი მონაწილეობის წვლილი ამ მუშაობაში.

მაკდონალდის სიტყვის დანარჩენი ნაწილი ეხებოდა ინგლისის შინაურ მდგომარეობას. შენობების აგების საკითხის შესახებ მაკდონალდმა განაცხადა, რომ მუშების სიმცირე საამშენებლო წარმოებებში მეტად მწვავე საკითხია. მუშაობის გადიდების საკითხს ელობება კანონიერი წინააღმდეგობა ტრედიუნიონების მხრივ. მთავრობა სცდილობს ამ წინააღმდეგობების თავიდან აცილებას საამშენებლო მრეწველობისათვის მუშაობის ხანგრძლივობის გარანტიების მიცემით, განსაზღვრულ პირობებში. სულიერი განწყობილება, რომელიც სუფევდა მინისტრების, საამშენებლო მწარმოებლების და საამშენებლო მუშების ამას წინად გამართულ კონფერენციაზე, საუკეთესო იყო. მაკდონალდი დარწმუნებულია, რომ საკითხი შრომის შესახებ სულ ახლო მომავალში სასურველად გადაიჭრება. უმუშევრობის შესახებ პრემიერმა სთქვა, რომ მთავრობა თავს მოუყრის თავის ძალებს პირველ ყოვლისა არა შრომისათვის დახმარების, არამედ ვაჭრობის აღდგენის ნიადაგზე. მთავრობა ფიქრობს, ვაჭრობის შესაძლებლობათა განსავითარებლად, იმოქმედოს ისე, რომ გაფართოებულ იქნას საოპერაციო პერიოდი და საექსპორტო კრედიტების ვადები. ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს ქვეყნის ფინანსიური მდგომარეობა და მას განზრახული აქვს ამ საკითხის ყოველმხრივად და მეცნიერულად განსახილველად დააარსოს ავტორიტეტული კომისია. შემდეგ პრემიერმა მოკლედ წარმოადგინა წინადადებები მიწადმოქმედების განსამტკიცებლად, რომლებშიაც გათვალისწინებულია მიწად მოქმედებისათვის დახმარების გაწევა სესხით, ან გარანტიებით კოოპერატიულ წარმოებათა საშუალებით, რომელთაც კონტროლს გაუწევენ სამიწათმოქმედო კომისიები. ამ კომისიების მოვალეობა იქნება თვალყურის დევნება სამიწათმოქმედო წარმოებისათვის, ნედლი მასალის შესყიდვისათვის, ბაზარზე გასაღებისათვის და სხვ.

საიმპერიო კონფერენციის დადგენილებები შეტანილი იქნებიან განსახილველად თემთა პალატაში. მთავრობა გამოსთქვამს თავის შეხედულებებს ამ დადგენილებების შესახებ და დატოვებს თუმცა პალატის განკარგულებაში მთავრობის უწყებაში არსებულ ყველა ცნობებს და პასუხისმგებლობას ამ საკითხის გადაჭრისათვის დააკისრებს თემთა პალატის წევრებს. ილაპარაკა რა მუშათა მთავრობის განსაკუთრებულ მდგომარეობის შესახებ იმ მხრივ, რომ ის იმყოფება უმცირესობაში,—მაკდონალდმა განაცხადა, რომ მთავრობა დასტოვებს ხელისუფლებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უშუალოთ იქნება მიღებული სხვა პარტიის პასუხისმგებელ ლიდერების მიერ შეტანილი და თემთა პალატის მიერ დამტკიცებული უნდობლობის ვოტუმი.

გერმანიის ამბები

გერმანიის კომპარტია მოითხოვს საბჭოთა კავშირთან დაახლოებას.

ბერლინი. 11 თებერვალი. **გერმანიის კომპარტიის ცეკა თავის მოწოდებაში ურჩევს მუშებს მოაწყონ 18 თებერვალს დემონსტრაცია შემდეგი ლოზუნგებით: „პროლეტარიატის ინტერესების დაცვა," „უმუშევართა და ქალაქის და სოფლის მშრომელთა კავშირი," „სამხედრო დიქტატურის წინააღმდეგ", „საბჭოების დარსება გერმანიაში და კავშირი საბჭოთა კავშირთან."**

საგაფიცვო კომიტეტი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ.

ბერლინი. 11 თებერვალი. **რეინ-ვესტფალიის ოლქის ცენტრალურმა საგაფიცვო კომიტეტმა დაადგინა: განაგრძოს ბრძოლა, მიუხედავათ სოციალ-დემოკრატების ღალატისა,** რომელნიც აწარმოებენ გაძლიერებულ პროპაგანდას მწარმოებლებთან შეთანხმების და სამუშაო დროის გადიდების სასარგებლოთ.

სამუშაო დღის გაგრძელების წინააღმდეგ.

ბერლინი. 11 თებერვალი. მელითონეები, რომლებმაც 2,000 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 160-სა უარი სთქვეს სამუშაო დღის გაგრძელებაზე, დაითხოვეს წარმოებებიდან.

სოციალ-დემოკრატები მკარგავენ ხმებს.

ბერლინი. 11 თებერვალი. ბერლინ ლიხტენბერგის ოლქის მოსამსახურეების კავშირის საბჭოს ხელახალ არჩევნებზე **სოციალ-დემოკრატებმა დაჰკარგეს 13 ადგილი,** რომელიც მიიღეს უპარტიოებმა. სოც.-დემოკრატებმა მიიღეს მხოლოდ 2 ადგილი.

სხვადასხვა

პოლონეთი.

პეტლიურა დაძრწის.

ვარშავა. 11 თებერვალი. „უკრაინის დილო" იტყობინება, რომ პეტლიურამ გადაწყვიტა საზღვარგარეთ მოგზაურობა სხვისი გვარით, იმ მიზნით, რომ შეუთანხმდეს უკრაინის ემიგრაციის სხვადასხვა ჯგუფებს ავსტრიაში, უნგრეთში, იტალიაში და შვეიცარიაში.

ბალტიის კონფერენცია.

ვარშავა 11 თებ. 15 თებერვალს ვარშავაში გაიხსნება ბალტიის კონფერენცია. ფიქრობენ, რომ კონფერენციაზე მონაწილე 4 სახელმწიფო დასდებენ საარბიტრაჟო კონვენციას.

საფრანგეთი

მოითხოვენ შრომის ხელფასის გადიდებას.

პარიზი. 11 თებერვალი. ლილის ოლქის საფეიქრო წარმოებების მუშების ყრილობამ 200 დელეგატის მონაწილეობით ერთხმად დაადგინა: **მოითხოვოს უეჭველად შრომის ხელფასის გადიდება ყველა ხარისხის მუშებისათვის 6 ფრანკით დღეში.** ყრილობა მოუწოდებს მუშებს თავი შეიკავონ ნაწილობრივ გაფიცვისაგან.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

რუსეთის ახკომკავშირის მოსკოვის კომიტეტის პლენუმის რეზოლიუცია.

მოსკოვი. 13 თებერვალი. რუსეთის ახკომკავშირის მოსკოვის კომიტეტმა დაადგინა შეუერთდეს რ. კ. პ. სრულიად საკავშირო კონფერენციის რეზოლიუციას პარტიის მთლიანობის და კავშირის საურთიერთო დახმარების სალაროების რეორგანიზაციის შესახებ, თავისუფალი წევრობის ნიადაგზე.

ამხ. კუიბიშევი საკონტროლო კომისიების შესახებ.

მოსკოვი. 13 თებერვალი. მოსკოვის საკონტროლო კომისიის პლენუმზე ამხ. კუიბიშევმა საბოლოო სიტყვაში გაილაშქრა საკონტროლო კომისიებისათვის დამოუკიდებელ მოქმედების უფლების მინიჭების წინააღმდეგ. საბოლოო გადაწყვეტის უფლება უნდა ეკუთვნოდეს ცეკას. საჭიროა საკონტროლო კომისიების მუშაობაში ჩაბმულ იქნან მუშათა მასები და საკონტროლო კომისიები დაუკავშირდნენ პროფკავშირებს, სასამართლო ორგანოებს და ალმასკომებს. მთელი პარტია განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოეპყრას საკონტროლო კომისიის მუშაობას.

ლენინის ხსოვნის უკვდავ-ყოფა.

ვიატკა. 13 თებერვალი. სასოფლო-სამეურნეო კრედიტის საზოგადოებამ დაადგინა უკვდავჰყოს ლენინის ხსოვნა ელექტრონის სადგურის აშენებით. შექმნილია განსაკუთრებული ფონდი ვიატკის გუბერნიის სოფლების ელექტროფიკაციისათვის.

მინსკი. 13 თებ. შექმნილია ლენინის სახ. ფონდი უპატრონო ბავშვების დასახმარებლად.

რუსეთის კომპარტიის ცეკას მიმართვა

შემოკრბით „პრავდის" გარშემო

მოსკოვი. 13 თებერვალი. რუსეთის კომპარტიის ცეკას მიმართვაში საოლქო და საგუბერნიო ორგანიზაციებისადმი, (ცეკა) წინადადებას იძლევა შეინარჩუნონ მუშების ლტოლვა რუსეთის კომპარტიის ცენტრალური ორგანოს „პრავდისაკენ" და გაერთიანონ „პრავდას" გარშემო ათეული ათასი მუშა — ხელისმომწერლები, — პირველ რიგში პარტიის ახალი წევრები. პარტიის ახალ წევრებს და უპარტიოთა შორის მუშაობის ერთ-ერთ ლოზუნგად უნდა გახდეს: „მუშებო, შემოკრბით რ. კ. პ. ცენტრალურ ორგანოს „პრავდას" გარშემო, მჭიდროთ დაუკავშირდით მას, ხელი მოაწერეთ „პრავდას", სწერეთ თქვენს გაზეთში. ყოველთვის გახსოვდეთ, რომ „პრავდას" დამარსებელი და ხელმძღვანელი იყო რუსეთის კომპარტია თავის ბელადის—ლენინის მეთაურობით".

რუსეთის კომპარტიის პარტიულ გამომცემლობამ გულდასმით გადაათვალიეროს ლენინთან დაკავშირებული ნაწარმოებები და იზრუნოს ამ ნაწარმოებების კეთილსინიდისიერ გამოცემაზე.

ლტოლვა კომპარტიისაკენ

მუშათა ლტოლვა.

მოსკოვი. 13 თებ. **საბჭოთა კავშირის ყოველ კუთხიდან მოდის ცნობები რ. კ. პარტიაში მასიური შესვლის შესახებ.** 10 თებერვლამდე ლენინგრადში შეტანილია 22679 განცხადება; ეკატერინბურგში უკანასკნელ დღეებში შეტანილია 898 განც. მინსკში—190, ვლადივოსტოკში—290, ეკატერინესლავში—500-ზე მეტი, სარატოვში—კოლექტიურად შევიდნენ პარტიაში რკინისგზის მუშები; ბახმუტში—კომუნალურ სამსახურის მუშები.

რუსეთის კომპარტიის ცეკას ინსტრუქცია.

მოსკოვი. 13 თებერვალი. გაზეთ „პრავდაში" გამოქვეყნებულია რუსეთის კომპარტიის ცეკას ინსტრუქცია პარტიაში დაზგასთან მომუშავეთა მიღების შესახებ, 13 ე პარტკონფერენციის და ცეკას პლენუმის დადგენილებათა თანახმად.

სხვადასხვა კუთხიდან

ყაზანი. სადგურ ყაზანის რკინისგზელებმა კოლექტიური განცხადება შეიტანეს რუსეთის კომპარტიაში შესვლის შესახებ.

მინსკი. 13 თებერვალი. **სადგურ ბუდის რკინისგზის დამცველი რაზმი კოლექტიურათ შევიდა კომპარტიაში.** ყველა ქარხნებსა და ფაბრიკებში მომუშავე ახალგაზრდებს შეაქვთ განცხადება ახალგაზრდათა კომკავშირის რიგებში შესვლის შესახებ.

მოსკოვი. 13 თებ. რუსეთის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს ამხ. მოლოტოვმა განაცხადა, რომ პარტიაში მუშების მიღების კამპანია გატარებული უნდა იქნეს 1 მაისამდე. **მუშების მიერ შეტანილ განცხადებების რიცხვი აღწევს** 100.000. შემუშავებულია ცხრილი მუშათა მსხვილ რაიონებისათვის: მოსკოვმა უნდა მისცეს პარტიას 25.000 მუშა, ლენინგრადმა—20 000, დონის აუზმა და ურალმა—15.000 თვითეულმა, ნიჟნინოვგოროდმა და ბაქომ—7,000 თვითეულმა, ხარკოვმა — 5,000, ივანოვ-ვოზნესენსკმა და ტულამ -4.000 თვითეულმა. ცხრილი ნავარაუდევია 150 000 მუშისათვის. განცხადებები პარტიაში შესვლის შესახებ შეიძლება შეტანილი იქნეს კოლექტიურად, მაგრამ მიღება უნდა სწარმოებდეს ინდივიდუალურათ, მის შემდეგ, როდესაც უჯრიდი გაეცნობა თვითეულ ამხანაგს ცალცალკე. უპარტიო მუშებმაც მონაწილეობა უნდა მიიღონ პარტიაში შესვლის მსურველთა დაფასებაში და გადარჩევაში. მაქსიმალური ვადა განცხადებების გარჩევისათვის არის ერთი თვე, პარტიაში შესვლის მსურველებმა უნდა მოისმინონ 6 ძირითადი ლექცია პარტიის ამოცანების შესახებ. ამ მიზნით გახსნილ იქნება პოლიტიკური ცოდნის 1 200 ახალი სკოლა.

სპარსეთის მეჯლისის გახსნა

პრეზიდიუმის არჩევა.

თეირანი. 12 თებ. გუშინ მოხდა მეჯლისის სესიის საზეიმო გახსნა, რომელსაც დაესწრნენ: მემკვიდრე, დიპლომატიური კორპუსი და უცხოეთის კორისპონდენტები. პირველ სხდომაზე არჩეულია დროებითი პრეზიდიუმი და სამანდატო კომისია.

ჩვენი მისალმება.

თეირანი. 12 თებ. სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა შუმიაცკიმ მიმართა სპარსეთის გარეშე საქმეთა მინისტრს წერილობითი მისალმებით, რომელშიაც იმედს გამოსთქვამს, რომ მეჯლისის სესია განამტკიცებს სახელმწიფოში ნაციონალურ საფუძვლებს და ხელს შეუწყობს სპარსეთის მთავრობას სპარსეთის ნაციონალურ და სამეურნეო განვითარების საქმეში.

პარტიული ცხოვრება

ახკომკავშირის ტფილისის ორგანიზაცია

(წარსანდელ საქალაქო კონფერენციიდან დღემდის)

ახლოვდება საქართველოს ახკომკავშირის ტფილისის ორგანიზაციის მორიგი საქალაქო კონფერენცია. ამ კონფერენციაზე საჭირო იქნება განხილვა ჩვენი კავშირის უფრო რთულ საკითხებისა, ვიდრე წარსულ კონფერენციაზე; მიუხედავად აუარებელ სამუშაოების ამ კონფერენციისათვის რჩება მრავალი საჭირბოროტო საკითხები ან ისეთი საკითხები, რომლებიც გამორჩენილი იყვნენ ჩვენი მორიგ მუშაობიდან. ეს საკითხები დასმული იქნებიან კონფერენციის დღის წესრიგში. საჭიროა გადაისინჯოს ჩვენი ორგანიზაციის მდგომარეობა, თუნდაც ზერელედ. ახკომკავშირის ორგანიზაციამ ტფილისში მასიური ხასიათი მიიღო. 1924 წ. 1 იანვრისათვის აღრიცხვაზე იმყოფებოდა 3349 წევრი და კანდიდატი, გარდა სამხედრო იაჩეიკებისა მიუხედავად იმისა, რომ ახკომკავშირში მიღება რამდენჯერმე იყო შეწყვეტილი, მიუხედავად გაძლიერებული ზრდისა მაინც ხერხდებოდა დანარჩენი მუშაობის შესრულება მოზარდთა დაცვის, პროფტექნიკურ განათლების, ტარიფის და სხვა დარგში. გაკეთებულია მაქსიმუმი იმისა, რის გაკეთებაც შეიძლებოდა. მუშაობა გამოიხატა შემდეგში: გამოყოფილი იქნა შრომის მთელი რიგი ასისტენტებისა, რომლენიც თვალყურს ადევნებდენ მოზარდთა შრომის დაცვას, რის წყალობითაც შესაძლებელი გახდა შრომის კანონების დარღვევის აღმოფხვრა. რაც შეეხება პროფტექნიკურ განათლებას, ტფილისის კომიტეტმა მოახერხა სათანადო ორგანოების საშუალებით საფაბრიკო-საქარხნო სკოლების გახსნა. წარსანდელ საქალაქო კონფერენციის შემდეგ გახსნილია 2 ასეთი სკოლა და დარაზმულია ერთი საბრიგადო შეგირდობა ამიერ-კავკასიის რკინისგზის მთავარ სახელოსნოებთან, საფაბრიკო საქარხნო შეგირდთა სკოლები არსენალთან და პოლიგრაფიულ განყოფილებასთან. გადადგმულია ნაბიჯები კიდევ ერთი ასეთი სკოლის მოსაწყობად კომუნალურ მეურნეობის განყოფილებასთან. ყველაფერი ეს ამტკიცებს იმას, რომ ტფილისის პირობებში პროფტექნიკური განათლების დარგში გაკეთებულია ბევრი რამ.

ეხლა რაც შეეხება ახალგაზრდობის ტარიფიკაციას, მოზარდთა მდგომარეობა უფრო უკეთესია შედარებით მოზრდილ მუშებთან. მაგალითისათვის მოვიყვან რამდენიმე ციფრს მოზარდ და მოზრდილ მუშების ტარიფიკაციიდან ომის წინ და დღევანდელ მომენტში:

პროფკავშ.	საშუალო ხელფასი ომის წინ		საშუალო ხელფასი დღეს	
სახელწოდ.	მოზრდილი მუშის	მოზარდის	მოზარდ. მუშის	მოზარდის
მეპვ. კავ.	40 მ. ოქრ.	5—6 მ. ოქ.	30 საქ. მ.	10 საქ. მან.
კომ. მეურ. მუშა	32 მ. 50 კ.	3 მ. 50 კ.	16 მ. 50 კ.	10 მ. 90 კ.
მელით კავშ.	26 მ. 40 კ.	7 მ.	24 მ 30 კ.	12 მ. 60 კ.
სახ კვებ. კავშ.	—	13 მ. 50 კ.	28 მ.	15 მ.
მეტყ კავშ.	60 მ.	12 მ	28 მ. 50 კ.	18 მ. 12 კ.
ალმშენ. კავშ.	30 მ.	7 მ. 50 კ.	32 მ.	12 მ. 93 კ.
საბჭ მოს. კავ.	47 მ. 50 კ.	14 მ.	35 მ.	14 მ. 60 კ.

და ასე სხვა ყველა კავშირებში. ეს ამტკიცებს, რომ მოზარდთა მდგომარეობა ომის წინა დროსთან შედარებით ძალიან გაუმჯობესდა.

მოზარდთა დატოვება. წარმოებებში გატარებულია ყველა კავშირებში მილიანად გარდა ტრანსპორტისა და ამიერ-კავკასიის რკინის გზებისა. ახალგაზრდობის წარმომადგენლები გატარებული არიან პროფკავშირთა გამგეობის ნამდვილ წევრებად 19 კაცი და კანდიდატებად 5. სარევიზიო კომისიის წევრებად და კანდიდატებად 5 კაცი, ფაბრიკა-ქარხნების ადგილკომების წევრებად და კანდიდატებად 73, საქ. პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმის წევრად—1 და პლენუმის წევრებად და კანდიდატებად 8 კაცი, რომლებიც ასრულებენ მუშაობას საქ. ახკომკავშირის ტფილისის კომიტეტის ხელმძღვანელობით. ამ დარგშიაც აგრეთვე ბევრი რამ გაკეთდა.

მუშათა ახალგაზრდობის შრომის, ყოფა-ცხოვრების და განათლების გაუმჯობესებამ კიდევ უფრო შეამჭიდროვა იგი ახკომკავშირის ირგვლივ. მიუხედავად იმისა, რომ ჩატარებულია გაძლიერებული მუშაობა მუშათა ახალგაზრდობის შრომის, ყოფა-ცხოვრების და განათლების გასაუმჯობესებლად, საქ. ახკომკავშირის ტფილისის კომიტეტმა გადასდგა მთელი რიგი მნიშვნელოვანი ნაბიჯებისა კავშირის შიგნით. როგორც მაგალითად პოლიტიკურ გაუნათლებლობის და წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, შემდეგ საკლუბო მუშაობის გაძლიერება. ტფილისის ორგანიზაციამ მოახდინა წევრთა და კანდიდატთა შორის ცოდნის პოლიტიკური შემოწმება, რის შემდეგ გაიხსნა სკოლები ახკომკავშირის წევრთა ცოდნის მიხედვით. მცირე ცოდნის მქონეთათვის, ე. ი. 1 ჯგუფისათვის ახლო მომავალში მოწყობილი იქნება საკლუბო მუშაობა.

საკლუბო მუშაობა შეფერხებული იყო პირველყოვლისა: კლუბისათვის შესაფერ ბინის უქონლობის და მეორეც წრეებში მომუშავე ინსტრუქტორების შესანახად საშუალებათა უქონლობის გამო. ამ დარგში გადადგმულია პირველი ნაბიჯი. 1, 2 და 4 რაიონების კლუბები მოწყობილი არიან და იქ შეიძლება მუშაობის დაწყება. რაც შეეხება 3-ე რაიონის კლუბს, ასეთი არ არსებობს, მაგრამ დღეს დამკვრელი წესით სწარმოებს რამოდენიმე ოთახის შეკეთება წრეში მუშაობის დასაწყებად.

შემდეგ განსაკუთრებული სერიოზული ყურადღება აქვს მიქცეული ბავშვთა ორგანიზაციის „სპარტაკის" ჩამოყალიბებას. მას თავის რიგებში ჰყავს დაახლოვებით 3 500 ბავშვი, აქედან აბსოლიუტურ უმრავლესობას შეადგენენ პროფკავშირის წევრთა და მუშათა ბავშვები. „სპარტაკში" ვაჟები შეადგენენ 70 პროც., ქალები—30 პროც., „სპარტაკში" მიზიდული არიან მუსლიმანების ბავშვები, რომლებიც ორგანიზაციაში შეადგენენ საკმაოდ დიდ პროცენტს.

„სპარტაკის" ქალაქის საბჭომ შესძლო სოციალურ აღზრდის და პიონერ მუშაობის გაერთიანება. ბავშვთა კოლექტივები იმყოფებიან წარმოე-

---

საქ. კომპარტიის ცეკას გაფართოებული პლენუმი

სამაზრო და საოლქო კომიტეტების მდ[illegible]

გადატანილია 23 თებერვლისათვის

და გაიხსნება საღამოს 6 საათზე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტის ბინაზე (რუსთაველის პრ., № 22)

ცენტრალურ კომიტეტის ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

ცენტრ. კომიტეტის მდივანი **მ. კახიანი.**

დღეს, ხუთშაბათს, საღამოს 7 საათზე დანიშნულია

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმის სხდომა.

წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

ცაკის მდივანი **ჰ. ხაზაშვილი.**

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი

წინადადებას იძლევა, რომ

მორიგ პარტიულ დღეს,

პარასკევს 15 თებერვალს, ყველა იაჩეიკებში დღის წესრიგში დასმული იქნეს საკითხი:

1. სრულიად საკავშირო მე-13-ე პარტიულ კონფერენციის შედეგები.
2. ეკონომიური პოლიტიკის მორიგი ამოცანები.

მასალებათ გამოყენებული იქნეს: ამხ. რიკოვის მოხსენება საკავშირო პარტიულ კონფერენციაზე, კამათი და რეზოლიუცია მოხსენების გამო („კომუნისტი" 1 და 3 თებერვლის ნომერი).

ტფილისის კომიტეტის მდივანი რუხაძე

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სამდივნო

ამით აცხადებს ს. ს. ცაკის იმ წევრთა და კანდიდატთა საყურადღებოთ რომელნიც არ არიან არჩეულნი ერთ და იმავე დროს ა/კ. ცაკში წევრად ან კანდიდატათ, რომ

სამდივნოში დამზადებულია ზემოაღნიშნულ წევრთა და კანდიდატებზე, პირადობის მოწმობა და რკინისგზის უფასო ბილეთები,

რომლის მისაღებად აუცილებლად საჭიროა იქნას წარმოდგენილი ცაკში ამხანაგთა ფოტოგრაფიული სურათები. მიღება შეიძლება აგრეთვე რწმუნებულების საშუალებითაც.

ს. ს. ცაკის მდივანი **ხაზაშვილი.**

პარტიის უახლოესი ამოცანები ვ. ი. ლენინის გარდაცვ. შემდეგ

ამხ. ზინოვიევის სიტყვა საკავშირო საბჭოთა მეორე ყრილობის კომფრაქციის სხდომაზე *)

„გადაგვარება"

გადავდივარ გადაგვარების საკითხზე. ამ საკითხში იქნა შეტანილი განსაკუთრებით მეტი გაბოროტება. მე ამაზე არ შევჩერდები, შევეხები მხოლოდ იმას, რასაც პრინციპიალური მნიშვნელობა აქვს. თქვენ იცით, რომ ცენტრალური კომიტეტის მთავარ ჯგუფს და საერთოდ პარტიის ძველ კადრებს ესროლეს საყვედური, რომ ისინი არ არიან დაზღვეული გადაგვარებისაგან, რომ, შესაძლოა, ეს გადაგვარება კიდეც დაიწყო. თეორეტიულად რომ ვსთქვათ, ეს გადაგვარება შესაძლებელია, ეს საფრთხე შეიძლება არსებობდეს და ჩვენ არასოდეს არ დაგვიხუჭავს ამაზე თვალი. და აქაც საჭირო იყო, ვიდრე ბრალდება წამოისროლიდენ, საჭირო იყო ანალიზის საშუალებით ამ ჯგუფის ნამდვილი პოლიტიკის გამორკვევა მეურნეობის დარგში, საერთაშორისო პოლიტიკის დარგში და კლასობრივი ურთიერთობის დარგში. უნდა შეეცდილიყვენ დაემტკიცებიათ, რომ ამ საყვედურებს რაიმე საფუძველი აქვს. და რომ ასე მოქცეულიყვენ, არაფრით, გარდა დამარცხებისა ის არ დამთავრდებოდა.

ვკითხოთ ჩვენს თავს, რას ნიშნავს დღევანდელ პირობებში საყვედური გადაგვარების შესახებ. რა უნდოდათ ეთქვათ ამით? ჩვენს ქვეყანაში რესპუბლიკის ბედ-იღბალს განსაზღვრავს ორი კლასი — მუშათა კლასი და გლეხობა. ჩვენ ჩვენს თავს ვთვლით პროლეტარულ რევოლიუციონერებათ, რომლებიც სწორი პოლიტიკის წყალობით, ვახერხებთ გლეხობის მთავარი მასების ხელმძღვანელობას. თუ ჩვენ გვისაყვედურებენ გადაგვარებას, ამას მხოლოდ ის პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, რომ აი თქვენ თავს პროლეტარულ რევოლიუციონერებათ თვლით, მაგრამ იმას კი ვერ ამჩნევთ, რომ ჩამოსცილდით პროლეტარულ გზას და დადექით გლეხურზე, ე. ი. სხვა სიტყვებით, პროლეტარული პოლიტიკა წვრილ-ბურჟუაზიულ პოლიტიკათ გადააქციეს. წამოუყენებიათ თუ არა როდისმე ბოლშევიკებისათვის ასეთი საყვედური? დიახ, უყენებდენ ჯერ კიდევ ბოლშევიზმის ჩასახვის დროს. აი ერთი პატარა ამონაწერი: „რატომ არ შეიძლება, რომ ცბიერმა ისტორიამ მისცეს რევოლიუციონურ ბურჟუაზიულ დემოკრატიას ბელადი ორტოდოქსალური რევოლიუციონური მარქსიზმის სკოლიდან". ვის ეკუთვნის ეს სიტყვები? ამას სწერდა პავლე აქსელროდი 1903—4 წლებში. ვისზე სწერდა? ლენინის შესახებ. და მაშინ ეს სიტყვები სიამოვნებით მოჰყავდა სწორედ იმ ამხანაგს, რომელმაც ახლა ესროლა ჩვენს ცენტრალურ კომიტეტს ბრალდება გადაგვარების შესახებ. ამხ. ლენინს მენშევიკებთან ბრძოლის პერიოდში არა ერთხელ და არა ორჯელ ესროლეს საყვედური იმაში, რომ შენ შენს თავს პროლეტარულ რევოლიუციონერად თვლი, მაგრამ რა იქნება, რომ ცბიერმა ისტორიამ იხუმროს ისე, რომ შენ საქმით აღმოჩნდები წვრილ-ბურჟუაზიული პროლეტარული დემოკრატი, და არა პროლეტარული რევოლიუციონერი. ამ მიმართულებით სწარმოებდა ბრძოლა მრავალ წლების განმავლობაში, როცა მენშევიკები კიდევ ეხვეოდნენ ორტოდოქსალურ მარქსისტების სამოსელში და ბრალს დებდენ ბოლშევიკებს, რომ ისინი ახდენენ ოპორტიუნისტულ გადახრას წვრილ ბურჟუაზიისაკენ. აი რატომ იყო ეს ბრალდება, რამდენათაც მას რაიმე პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა,—მენშევიზმის რეციდივი.

აქ, რასაკვირველია, საქმე პიროვნებებში კი არ არის, ჩვენ ვიცით, რომ გაცხოველებული კამათში ორივე მხარეები ცხარობენ, საქმეა ამ ბრალდების პოლიტიკურ შინაარსში. საქმე იმაში კი არ არის, რომ ბრალს დებდენ „X"-ს ან „y"-ს, საქმე იმაშია, რომ ბოლშევიზმს, როგორც მიმართულებას, როგორც პოლიტიკურ შკოლას, თავიდანვე ესროდენ იმ საყვედურს, რომ თქვენ თქვენს თავს მარქსისტებათ თვლით, საქმით წვრილ-ბურჟუაზიას მეთაურობთო. იყო თუ არა მართალი ეს ბრალდება, თქვენ თვითონ განსაჯეთ. მე ვფიქრობ, რომ ის ღრმად შემცდარია და რომ ჩვენმა პარტიამ ამაზე არა ორჭოფული პასუხი გასცა.

პარტიული აპარატის საკითხი

მესამე საკითხი, რომელზედაც ჩვენ ვდაობდით, ეს არის პარტიული აპარატის საკითხი. მე აქ არ შევჩერდები ვრცლად ამ საკითხზე. ამ საკითხის შესახებ ამხანაგებს შეუძლიათ წაიკითხონ ჩემი წერილი. მე მოვიყვან მხოლოდ ციფრებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ მთელი ჩვენი პარტიული აპარატი საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში შეიცავს სულ 18 ათას კაცს, მათ შორის პასუხისმგებელ მუშაკებს 8—9 ათასს. ასეთი უზარმაზარი ქვეყნისათვის, როგორიც არის ჩვენი, სადაც პარტია თავისი ძალებით აკმაყოფილებს არა მარტო პარტიული, არამედ სახელმწიფო საჭიროებებსაც, ეს არ არის დიდი ციფრი. მე მომყავდა თავის წერილში სტატისტიკა პასუხისმგებელი მუშაკების შესახებ, როგორც ცენტრალურ აპარატებში ისე ცენტრალურ კომიტეტში. უკვე ამ ციფრებიდან სჩანდა, რომ მუშაკები დიდხანს არ რჩებიან ამ აპარატებში. მუშაკების დიდი უმრავლესობა კი ერთი წელიწადიც არ დარჩენილა აპარატში, ე. ი. არა აქვს ის აუცილებელი სპეციალიზაცია, რომელიც საჭიროა. ახლა სავსებით ნათელია, რომ ფორმალურად ჩვენ ვკამათობდით აპარატის შესახებ, არსებითად კი სხვაზე. აქ პირისპირ მიუდექით იმ საკითხს, რომელიც მე გაკვრით მოვიხსენიე შესავალში: მიუდექით საკითხს პარტიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის შესახებ, პარტიულ აპარატში ვითომდა ბიუროკრატიზმთან ურთიერთობის საკითხს. მე არ ვლაპარაკობ, რომ ჩვენში სრულიად არ არის ბიუროკრატიზმი პარტიულ აპარატში,—ის არის და პარტიული აპარატი უნდა გაიწმინდოს მისგან, მაგრამ ეს უნდა ხდებოდეს ცოდნით.

როგორც მუშები ამბობდენ დისკუსიაზე: მანქანის გაწმენდა გინდა? კარგი. თუ შენ გაქვს მეორე მანქანა, მაშინ შეიძლება პირველის გაჩერება და გაწმენდა, თუ მეორე მანქანა არ არის, მაშინ მანქანა უნდა გაიწმინდოს მუშაობის დროს, ისე კი, რომ თავი არ გაიტეხო. იგივე მუშები ამბობდენ: ჩვენ გვესმის ოპოზიციის ეს ტაქტიკა: „შეარყიე ბოძები, კედელი თვითონ დაინგრევაო". მუშები მშვენივრად ერკვეოდენ, მშვენივრად ხედავდენ თუ რაშია საქმე. ჩვენ ვდაობდით არა მარტო აპარატის შესახებ, არამედ ცოტა რამ სხვაზეც: იმის შესახებ თუ რა დამოკიდებულებაშია პარტიული აპარატი საბჭოთა აპარატისადმი.

თქვენ გახსოვთ, ამხანაგებო, ვლადიმერ ილიჩის წერილები საბჭოთა აპარატის შესახებ. მან ქვა ქვაზე არ დასტოვა ჩვენს საბჭოთა აპარატში და წამოისროლა საყვედური, რომ ჩვენი საბჭოთა აპარატი მეფის ძველ აპარატს გავსო. ამაზე უარესი ბრალდება შეუძლებელია და ჩვენ ვიცით, რომ ეს ბრალდება ცოტათ თუ ბევრათ სამართლიანია. ამის შემდეგ, ცოტაოდენი წარმატება არის მიღწეული, მაგრამ არა საკმაო; სახელმწიფო აპარატი ჯერ კიდევ ვერ დგას სათანადო დონეზე და ჩვენ მასზე წლების განმავლობაში მოგვიხდება მუშაობა. საბჭოთა აპარატის ბიუროკრატიზმი—აი ჩვენი მთავარი მტერი. და აქაც ბოროტება აიხსნება არა ჩვენი ადმინისტრატორების ცუდი ნებისყოფით, არამედ იმით, რომ სახელმწიფო აპარატი გაიზარდა ძველს ფუნდამენტზე, ჩვენ არ შეგვეძლო გამოგვეწუტნა ის თითიდან, ჩვენ უნდა აგვეშენებია ის ძველი აგურებიდან. ვის მიმართავდა ვლადიმერ ილიჩი ამ საბჭოთა ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ? ის მიმართავდა პარტიას, პარტიულ აპარატს. აი სად ვეძებდით ჩვენ ხსნას. ამხ. ლენინმა წამოაყენა ცენტრალური საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის განსაზღვრული გეგმა, რომელიც ჯერ კიდევ გატარებული არ არის და ჩვენ ის უნდა გავატაროთ. ჩვენ ვხედავთ ასეთ სურათს, რომ ბევრი ყველაზე უფრო ჯიბიანი ბიუროკრატი,—მე არ დავასახელებ მათ,—უკიდურესი „დემოკრატები" იყვენ ამ დისკუსიაში.

როცა მათ უდგენდენ დემოკრატიულ რეზოლიუციას, ეს ცოტა იყო მათთვის, მიეცით მათ კიდევ მეტი „დემოკრატია". რას გვიჩვენებს ეს? ეს გვიჩვენებს იმას, რომ ამ ჯიშიანმა დემოკრატებმა იციან, რომ ჩვენ გვაქვს ისეთი რკინის ბოლშევიკური აპარატი, რომელიც არა მარტო იღებს რეზოლიუციებს,—ჩვენ ვიცით, რომ ეს ძლიერ ადვილია,—არამედ შეუძლია წვდეს ხელში, რომელიც გინდა კომისარიატში აღმოაჩინოს ასეთი ბიუროკრატი და მიუჩინოს მას შესაფერი ადგილი. აი რათ არის საჭირო ეს აპარატი! აი რათ არ უყვართ ზოგჯერ „აპარატჩიკები". ასეთია საბჭოთა ბიუროკრატიზმის და პარტიული ბიუროკრატიზმის კოორდინაცია. ბიუროკრატიზმი პარტიაში არის, მას უნდა ვებრძოლოთ. მაგრამ, რომ ჩვენ ამ ორ მანქანას ერთმანეთს შევადარებთ ჩვენ რიგის მიხედვით ვიტყვით: ჩვენ პარტიული აპარატის საშუალებით უნდა გავსწმინდოთ საბჭოთა აპარატი და იმავე დროს უნდა ვაწარმოებდეთ პარტიული აპარატას წმენდას და აი აქ ჩვენ მიუახლოვდით საკითხის დედა-ძარღვს — საკითხს პარტიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის შესახებ. ყველა იმ ელემენტებმა, რომლებსაც ჩვენ დიდი ხანია ვიცნობთ, რომლებმაც მოიხვეჭეს სამწუხარო სახელი იმით, რომ სურთ ცოტათი განთავისუფლდენ პარტიის „ზედმეტი" ოპეკისაგან, კვლავ გვამცნეს თავისი არსებობა. ისევ არავის დავასახელებ, თქვენ თვითონ იცნობთ ბევრ მათგანს. ვინაიდან თქვენ გახსოვთ დისკუსია მეთორმეტე პარტიული ყრილობის წინ, როგორ გაფთრებული ესხმოდენ თავს მაშინ ჩვენს პარტიულ აპარატს იმიტომ, რომ მათ კარგად იცოდენ,—თუ მოახერხებდენ ამ ფოლადის, ამ რკინის ბოლშევიკური აპარატის შესუსტებას, მაშინ ნამდვილად დადგებოდა ერთგვარი „თავისუფლება". მოხდებოდა „განთავისუფლება", ემანსიპაცია პარტიული გავლენისგან. ამრიგად ამ ადგილას გადაიწნა, ყველა მთავარი საკითხები, რომლებიც დაკავშირებული არიან პროლეტარული დიქტატურის საფუძვლებთან. აქ დაისვა მთავარი საკითხი პარტიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის შესახებ.

ფრაქციების საკითხი

დაბოლოს უკანასკნელი საკითხი, რომელმაც ასე დიდი კამათი გამოიწვია, ეს არის ფრაქციების საკითხი. ამ საკითხის გამო ჩვენ განსაკუთრებული ერთსულოვნება გვქონდა პარტიაში და მე მასზე არ შევჩერდები სრულიად. თქვენ იცით, რომ ჩვენ გადავსწყვიტეთ გამოგვექვეყნებია იმ გამოუქვეყნებელი რეზოლიუციის ერთი მუხლი, რომელიც თავის დროზე წარმოდგენილი იყო ლენინის მიერ და მიიღო პარტიის მეათე ყრილობამ. „პროლეტარი"-ს № 22-ში თქვენ შეგიძლიათ ნახოთ ფოტოგრაფია, ნამდვილი ფოტოგრაფია, რეზოლიუციის ხელთნაწერიდან, რომელიც დასწერა ამხ. ლენინმა და მიიღო პარტიის მეათე ყრილობამ ფრაქციული ჯგუფების წინააღმდეგ.

მე ვფიქრობ, რომ ზედმეტია ახლა თქვენთვის მტკიცება იმის, თუ რამდენად საშიშია ფრაქციულობა ჩვენს ქვეყანაში. გაიხსენეთ ჩვენი პარტიის ის სურათი, რომელიც მე თქვენ დაგიხატეთ მოხსენების დასაწყისში. გაიხსენეთ პარტიული განაწილება ჰასაკის მიხედვით, გაიხსენეთ განაწილება მუშაობის დარგების მიხედვით, სპეციალობის მიხედვით. გაიხ[illegible] აღმოჩნდა 60 უჯრედი და მაშინ თქვენ დაინახავთ, თუ რაში მდგომარეობს ფრაქციების საშიშროება ჩვენში. იყო დრო, როცა ჩვენც ვიყავით ფრაქცია მეორე ინტერნაციონალში. ჩვენ ათი წელი და მეტი ვცხოვრობდით ერთ პარტიაში მენშევიკებთან და ვიყავით მხოლოდ ფრაქცია ასეთი დრო იყო. და მაშინ ჩვენ ვიბრძოდით ფრაქციის უფლებების გაფართოებისათვის. ცუდათ მოიქცა ამხ. ტერ-ვაგანიანი, რომელმაც ამას წინათ გამოუშვა წიგნაკი „ლენინი შინაპარტიულ მშენებლობის ამოცანების შესახებ", სადაც მას მოჰყავს ციტატები იმ დროიდან, როცა ლენინი და ჩვენ ვიყავით მენშევიკების ტყვეობაში. ვიყავით ფრაქცია მენშევიკებთან ერთად არსებულ პარტიაში და, რასაკვირველია, მოვითხოვდით უფლებებს ჩვენთვის. მას მოჰყავს ეს სიტყვები და ამბობს, რომ ლენინი ამ საკითხებს არ უყურებდა ისე, როგორც ახლა უყურებს პარტიაო.

ცუდია, ეს თუ არა, ამხანაგებო? მე ვფიქრობ, თქვენ გრძნობთ, რომ ეს კარგი არ არის. მაშინ იყო ისეთი დრო, როცა ჩვენ თვითონ ვიყავით ფრაქციონერები და მხარს უჭერდით ფრაქციებს, მოვითხოვდით მათთვის უფლებებს. ის დრო წავიდა. ახლა კომინტერნი ცდილობს გადაიქცეს საერთაშორისო მაშტაბით ერთი ნაჭერისგან გამოკვეთილ პარტიად. რას ნიშნავს ფრაქციები, მაგალითად ორი ფრაქცია წითელ არმიაში? არავითარი წითელი არმია! რას ნიშნავს ორი ფრაქცია სახელმწიფო პოლიტიკურ სამართველოში (Г. П. У.) ეს ნიშნავს არავითარი სახელმწიფო პოლიტიკური სამართველო, და თქვენ თვითონ საუცხოვოდ გრძნობთ ამას. თუ ჩვენ მივანიჭებთ მათ ფრაქციების სრულ თავისუფლებას, მივიღებთ იმას, რომ თითეულ ზემოთ მოყვანილ 60 უჯრედიდან, შესაძლებელი იქნება 6 ახალი უჯრედის შექმნა. და თუ კიდევ ჩვენი სამეურნეო მუშაკები ფრაქციებათ გაიყოფიან, და თუ კიდევ ჩვენი დიპლომატები გაიყოფიან ფრაქციებათ,—და განა ეს შეუძლებელია?—თუ ჩვენი პროფესიული მუშაკები გაიყოფიან ფრაქციებათ, თუ წითელ-არმიელები გაიყოფიან ფრაქციებათ, რას მივიღებთ მაშინ ჩვენ? დაიღუპება საბჭოთა ხელისუფლება და დაიღუპება პროლეტარიატის დიქტატურა.

აი რატომ მიუდექით ჩვენ ამ საკითხს ასეთის სიცხარით და ასეთის შეურიგებლობით. ამხანაგებს საქმე ზოგჯერ ასე ჰქონდათ წარმოდგენილი: თვითონ მათ (ე. ი. ჩვენ) უყვართ ფრაქციათ ყოფნა, სხვებს კი უშლიან. ეს ბრალდება უსაფუძლოა. თქვენ იცით, რომ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი არჩეულია 0,99 ხმებით. ამხანაგები ოპოზიციიდან დაგვპირდენ ჩვენ, რომ მომავალ ყრილობაზეც ცენტრალური კომიტეტი ერთსულოვნად იქნება არჩეული. ვნახოთ. მაგრამ ყოველ შემთხვევაში სად არის ფრაქცია, როცა ცენტრალური კომიტეტი არჩეულია 0,99 ხმებით? არა, ამხანაგებო, აქ საქმე ცარიელ დავაში კი არ არის, საქმე იმაშია, რომ დადგა სხვა ისტორიული ეპოქა. იყო დრო, როცა ჩვენ შეგვეძლო ვყოფილიყავით მეორე ინტერნაციონალის ფრაქცია; იყო დრო, როცა ჩვენ შეგვეძლო ვყოფილიყავით ფრაქცია მენშევიკებთან ერთად არსებულ პარტიაში. 1908 წელს ვლადიმერ ილიჩის (მე თქვენ მოგიყვანეთ საზეიმო სხდომაზე ნაწყვეტი ამხ. ლენინის წერილიდან) ამბობდა: ჯერ-ჯერობით ეს არის ფრაქციული, ლიტერატურული დავა, გათავდება კი ის სამოქალაქო ომით. და ასეც მოხდა. სამოქალაქო ომმა ეს წინანდელი ფრაქციები და ლიტერატურული ჯგუფები ბარიკადების სხვადასხვა მხარეს დააყენა.

თუ ჩვენ გვინდა ქვეყნის მართვა, ჩვენ ვერ დავუშვებთ ისეთ მომენტებს (არის ფაქტების ლოგიკა), რომლებიც შეიცავენ დიქტატურის გაყოფას, პარლამენტარიზმს მთავრობაში. ვინაიდან პარალელიზმი პარტიაში, ორი მმართველი ჯგუფი პარტიაში, ეს იქნებოდა ორი მმართველი ჯგუფის მომასწავებელი მთავრობაში. ეს იქნებოდა დიქტატურის გაორება, ეს კი თავის მხრით იქნებოდა პროლეტარული დიქტატურის დაღუპვა. აი რატომ უნდა დავეკავებაა და დავიკავეთ ჩვენ ფრაქციების საკითხში ის პოზიცია, რომელიც თქვენ იცით.

---

*) [illegible]. იხ. „კომ." №№ 34, 36.

დადგენილება

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

1924 წლის თებერვლის 13

„ლენინის სახელობის ფონდის“ შესახებ

რათა წესიერად იქნეს დაყენებული ყველგან ამიერ-კავკასიის ფედერაციის ტერიტორიაზე მშრომელთა სურვილით წარმოებული შემოწირულებათა შეკრეფისა და ანარიცხთა გადადების საქმე, ამხანაგ ლენინის სახელის უკვდავსაყოფად, და რათა ამ გზით შემოსული საშუალებანი მიზანშეწონილად იქნეს გამოყენებული, ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. ამიერ-კავკასიის ფედერაციის ტერიტორიაზე შეკრეფილი ყველა ნებაყოფლობითი შემოწირულებისა და ანარიცხისაგან შესდგეს „ლენინის სახელობის ფონდი“.

2. მოეწყოს ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან სპეციალური კომისია ამხ. აღამალი-ოღლის, ცირაპისა და ხუხიშვილის შედგენილობით და პირველი მათგანის თავმჯდომარეობით.

3. წინადადება მიეცეს ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბ. რესპუბლიკაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტებს მოაწყონ სპეციალური რესპუბლიკანური კომისიები „ლენინის სახელობის ფონდისა“.

4. ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტისა და რესპუბლიკანური ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების კომისიები ხელმძღვანელობას გაუწევენ საერთო შეკრეფას და დანიშნულებისამებრ რეალიზაციის საქმეს საერთო გეგმის მიხედვით, რომელსაც შეიმუშავებენ რესპუბლიკანური კომისიები ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის კომისიასთან შეთანხმებით.

5. „ლენინის სახელობის ფონდისათვის“ შემოწირულებათა და ანარიცხთა შეკრება მოხდება ყველგან მარტოოდენ ნებაყოფლობითი სახით და მოხმარდება ბავშვთა და ინვალიდთა სახლების შექმნას, სკოლების აშენებას და სხვა ამისთ. უპირატესად, ვიდრე ძეგლების დადგმას.

6. ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის კომისიას ნება მიეცა—ამა დადგენილების აღსრულების მიზნით—გამოსცეს ძირითადი დებულებანი „ლენინის სახელობის ფონდის“ შესახებ.

ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის
თავმჯდომარე აღამალი-ოღლი

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მოგ. შავერდოვი

ბის მიხედვით საბავშვო სახლებში, ხოლო 1-ლ და 2-ე რაიონებში შრომის სკოლებში ჩატარებულია „სპარტაკის“ პირველი ტფილისის კონფერენცია. ბავშვების ჯანმრთელობის და მათი მეცადინეობის უნარის პერიოდულად შესამოწმებლად ყველა რაიონებში გამოყოფილი არიან ექიმები სასპორტო დარბაზებში. ამ დროის განმავლობაში „სპორტდარბაზში“ გატარდა ბავშვთი 33 პროც. დაწყებულია მუშაობა საზაფხულოთ ბავშვების გადასაგზავნად ბანაკში და აგრეთვე დაწყებულია ბავშვთა ჯგუფების მოწყობა მაზრებში. მუშაობას ხელს უშლის საკმაო შტატის უყოლობა მუშაობის საწარმოებლად. ახკომკავშირის წევრთა დიდი უმრავლესობა ჩაბმულია მუშაობაში, ასრულებენ საინსტრუქტორო საქმეს და სხვა.

უკანასკნელ ხანებში განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდა მიქცეული მაზრას. ტფილისის კომიტეტმა რამდენჯერმე მოახდინა გამოკვლევა ორგანიზაციის დეფექტების შესასწავლად.

ამას წინად მოეწყო სამაზრო იაჩეიკების მდივანთა კურსები.

მომავალში ახალმა კომიტეტმა სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციოს აქტიურ სამუშაოზე მუშათა ახალგაზრდობის წამოყენებას. თუმცა კომიტეტებში 85—90 პროცენტი მუშათა ელემენტი სჭარბობდა, მაგრამ მათ ვერ მოუტანეს ორგანიზაციას ის სარგებლობა, რომელსაც იგი მათგან მოელოდა, რადგან მუშათა ახალგაზრდობის წამოყენება სისწორით არ იყო გათვალისწინებული და ტფილისის კომიტეტი იძულებული იყო ხშირად შეეცვალა მუშაკები. მეორე არის ის, რომ ორგანიზაციაში საჭიროა გაძლიერებულ იქნას პოლიტ-საგანმანათლებლო მუშაობა ქართულ, სომხურ და მუსლიმანურ ენებზე. ტფილისის კომიტეტმა პირველ ყოვლისა უნდა გააძლიეროს მუშაობა სამშობლო ენაზე, ვინაიდან სხვადასხვა ეროვნებათა მუშაკების წამოყენებას ჩვენ ვერ შევსძლებთ, ასეთები დღეს არ მოიპოვებიან, რაც დიდ გავლენას ახდენს მუშაობაზე, და მესამე საჭიროა გაძლიერდეს პარტიული ცენტრი ახკომკავშირში.

კომკავშირელი.

ეკონომიური ცნობები

ვალუტის კურსი ტფილისში.

(14 თებერვალი)

	მილ.
ჩერვონცები — —	2.375,000 ათ
გირვ. სტერლინგ. ეფექტ.	2.215,000
ჩეკები	—2.150,000
დოლარი ეფექ.	—526—
ჩეკები	—490—
ოსმ. ქაღ. ლირა	—320—
იტალიური ლირა	—22,5 მილ.
ფრანგული ფრანკი	—23,5 მილ.
საბჭ. ფულის ნიშნები	—16,5

მუშკოოპის ფასები.

(14 თებერვალი)

პური 1 ხარ 15,000, პური 2 ხ. 11000, ძროხის ხორცი—45000 ათ. ღორის ხორცი— 45000 ათ. შაქარი რაფინადი 98 070 ათ. ფხვნილი შაქარი—66,000 ათასი, კარტოფილი— 3500 ათ.

ტფილისის ბაზრის ფასები.

(14 თებერვალი)

პური 1 ხ.—20000 ათ., პური 2 ხარ.—15000, ძროხის ხორცი 55000 ათ. ღორის ხორცი 50000 ათ., შაქარი რაფინ. 95000 ათ., შაქარი ფხვნილი 67,000 ათ., კარტოფილი 5000 ათ.

ბირჟის მიწოდება

ჩაი „ცენტროსოიუზ“-ის და ცეილონის, საბზის თესლი, ფრიზონი, სახურავი რკინა (ინგლ), „ურალმეტ“-ის პროდუქცია (სასოფლო-სამეურნეო იარაღი და სხვადასხვა რკინეულობა), ნედლი აბრეშუმი, სპილენძი (ფურცლოვანი), „კოჟსინდიკატ“-ის პროდუქცია, სახალ. მეურ. საბჭოს საპნის და საფეიქრო ტრესტის პროდუქცია (საპონი, ნართავი, ოლიფის ზეთი და სხვ.), შვეიცარიული ყველი, ხორბალი და პურეული, ქიმიური ნაწარმოები, ფანჯრის მინები, კაუსტიური სოდა, სალმასი, ქინაქინა, გიგროსკოპიული ბამბა, ქვა-მარილი ნახიჩ, ნაწლევები, ასანთი რუს., ცემენტი და ეტერნიტი, „სახაროტრესტ“-ის პროდუქცია, თხილი ზაქათალის.

ბირჟის მოთხოვნილება.

ნედლი ტყავეულობა, რუს. მანუფაქტურა, მაკარონი და ვერმიშელი 1 და 2 ხარ., ყუბანის ფქვილი, სახურავი რკინა, შაქარი რაფ. და ფხვნილი, სალმასი, მზესუმზირას ზეთი, ასანთი რუს., პორტლანდიის ცემენტი, ქვა-მარილი ნახიჩევ.

ოფიციალური გარიგებანი.

თუშური მატყლი—15 მ. ფუთი, ფრანკო—მყიდველის საწყობი ტფილისში.

შაქარი რაფინ. (დახერხილი)—14 მ. 70 კ. ფუთი და ფხვნილი—10 მ. 65 კ., ფრანკო გამყიდვ. საწყობი.

მაკარონი და ვერმიშელი 2 ხარ. (ტაგანროგის)—4 მ. 50 კ. ფუთი, ფრანკო—გამყიდველის ფასები.

საქონლის ბაზრის განწყობილება.

ბაზრის საერთო განწყობილება—უცვლელია.

ჩერვონცების და ამიერ-კავკასიის ბონების შეფარდება

(14 თებერვალი.)

ჩერვ.	ბონით	ჩერვ.	ბონით.
1 კ.	—2.375.000,	60 კ.	—142.500.000
2 „	—4 750.000,	70 „	—166.250.000
3 „	—7.125.000,	80 „	—190.000.000
4 „	—9.500.000,	90 „	—213 750.000
5 „	—11.875.000,	1 მ.	—237 500.000
6 „	—14.250.000,	2 „	—475.000.000
7 „	—16.625.000,	3 „	—712.500.000
8 „	—19,000.000,	4 „	—950 000.000
9 „	—21.375.000,	5 „	—1.187 500.000
10 „	—23.750.000,	6 „	—1.425.000.000
20 „	—47.500.000,	7 „	—1.662 500.000
30 „	—71.250.000,	8 „	—1.900.000.000
40 „	—95.000.000,	9 „	—2.137 500.000
50 „	—118.750.000,	1 ჩერ.	2,375.000.000

პროფკავშირებში

საქართველოს განათლების მუშაკთა მესამე ყრილობა

ყრილობის გახსნა

12 თებერვალს განათლების მუშაკთა სახლში საღამოს რვა საათზე გაიხსნა სრულიად საქართველოს განათლების მუშაკთა მესამე ყრილობა.

განათლების მუშაკთა ცენ. გამ. სახელით ყრილობას ხსნის ამხ. მიხ. მეძმარიაშვილი, რომელიც წინადადებას აძლევს დელეგატებს ფეხზე ადგომით პატივი სცენ მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის და მასწავლებლის ამხ. ვ. ი. ლენინის ხსოვნას.

დელეგატები ფეხზე დგებიან. ხორო ასრულებს სამგლოვიარო ჰიმნს.

რიგ გარეშე მისასალმებელი სიტყვა ეძლევა ამხ. მიხა ცხაკაიას, რომელსაც ყრილობა ტაშის ცემით ხვდება.

ამხ. მიხა ცხაკაია, საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სახელით მიესალმება ყრილობას და უსურვებს ნაყოფიერ მუშაობას. მასწავლებლობას დაკისრებული აქვს დიდი მოვალეობა ჩვენი ქვეყნის მშრომელი ხალხის წინაშე: მან კომუნისტურ პარტიასთან ერთად უნდა შექმნას სრულიად ახალი ქვეყანა ახალი აზროვნებით და შემეცნებით. მართალია, მშრომელმა ხალხმა და პარტიამ დაჰკარგა უდიდესი მასწავლებელი, რომელიც ხელმძღვანელობდა ახალი ქვეყნის შენების და განმტკიცების საქმეს, მაგრამ მისგან დატოვებული მემკვიდრეობა ჩვენ საშუალებას გვაძლევს მედგარი და გამარჯვების სრული იმედით განვაგრძნოთ დიადი მიზნისკენ სვლა. ამიერიდან განათლების ყოველი მუშაკის ცდა უნდა იყოს დაუახლოვდეს პროლეტარიატის დიდ მასწავლებელს, ჩასწვდეს და შეიცნოს მისი დიდი მოძღვრება და თვითონაც გახდეს ხალხის ხელმძღვანელი და მასწავლებელი საუკეთესო მერმისისათვის ბრძოლაში. (ტაში. ხორო მღერის ინტერნაციონალს).

პრეზიდიუმის და კომისიების არჩევა.

ამხ. მიხა ცხაკაიას მიერ თავის სიტყვის რუსულად განმეორების შემდეგ, ყრილობა შეუდგა პრეზიდიუმის არჩევას.

კომფრაქციის მიერ წარმოდგენილი სიით, რომელშიდაც შედიან საქართველოს ყველა კუთხის და ეროვნების წარმომადგენელნი, პრეზიდიუმში არჩეულნი არიან ამხ. ამხ. ყურულაშვილი, შავერდოვისა, მეძმარიაშვილი, გეგენავა, შიუკაშვილი-კალიუჟნაია, წითლაძე (აფხაზეთიდან) სულეიმან ლორთქიფანიძე (აჭარისტანიდან), ლოზოვი (ოსეთიდან), ვ იმნაძე (ქუთაისიდან), მარო ლომინაძე (ოზურგეთიდან), მამალაძე (აღმოსავლეთ საქართველოს მაზრებიდან), პროფ. შალვა ნუცუბიძე (მეცნიერ. მუშაკთა სექციიდან), ნიკო კიკნაძე (ბეჭდვითი სიტყვის სექციიდან), მამითაიშვილი (ტეხნიკურ პერსონალიდან) ასლანოვი (სომეხ განათლების მუშაკთაგან) რასულზადე (მუსულმან განათ. მუშაკთაგან) ნადირაძე (საქართველოს წითელი არმიის პოლიტ. განათ.).

საპატიო თავმჯდომარედ ყრილობა ირჩევს ამხ. ამხ. ლუნაჩარსკის, კრუპსკაია-ულიანოვას, კანდელაკს და მარიამ ორახელაშვილისას.

სამანდატო კომისიაში არჩეული არიან ამხ. ამხ. მაჭავარიანი, მეგრელიძე და ღლონტი.

სარედაქციო კომისიაში. შედიან ამხ. ამხ. ნიკ. კიკნაძე, გრიშენკო და პაპავა.

ყრილობა ადგენს სამძიმრის დეპეშა გაუგზავნოს ამხ. კრუპსკაია-ულიანოვისას და მისასალმებელი დეპეშა საქართველოს ცენტ. აღმას. კომიტეტს და სახ. კომ. საბჭოს.

დღის წესრიგი.

ყრილობა ამტკიცებს შემდეგ დღის წესრიგს: 1) საერთაშორისო მდგომარეობა, 2) ცენტრალური გამგეობის ანგარიში 3) სარევიზიო კომისიის მოხსენება, 4) განათლების სახალხო კომისარიატის მოხსენება, 5) მასსიური სკოლა, 6) ინფორმაცია ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა ყრილობის შესახებ, 7) სახალხო მასწავლებელი და მისი როლი სოფლად, 8) მოხსენება კოოპერაციის შესახებ, 9) ცენტრალური გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნები, 10) მიმდინარე საკითხები.

მისალმებანი.

სიტყვა მისალმებისათვის ეძლევა საბჭოთა უკრაინის განათლების სახალხო კომისრის მოადგილეს პროფესორს ამხ. მაშკინს, რომელსაც ყრილობა ტაშისცემით ხვდება.

ამხ მაშკინი საბჭოთა უკრაინის მასწავლებლობის სახელით სალამს უძღვნის განათლების ფრონტზე მებრძოლ საქართველოს მასწავლებლობას. უკრაინის მასწავლებლობა,—ამბობს ამხ. მაშკინი,—1917—18 წლებში საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრულად იყო განწყობილი, უყურებდა მას, როგორც უცხოს,—„მოსკოვიდან“-დან მოსულს და ხშირად ხელმძღვანელობდა საბჭოთა ხელისუფლების საწინააღმდეგო აჯანყებას. მუშათა და გლეხთა მთავრობის მოქმედებამ შემდეგ წლებში დაარწმუნა უკრაინის სახ. მასწავლებლობა, რომ იგი არის საუკეთესო დამცველი და ამაღორძინებელი უკრაინული, ეროვნული კულტურის; რომ მუშური ხელისუფლების ერთი დიადი მიზანთაგანია ერების პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული თვითარსებობის უზრუნველყოფა და განმტკიცება. დღეს უკრაინის მასწავლებლობა, რომელიც მოემზადა და გადახალისდა პოლიტიკურად, იბრძვის საბჭოთა ხელისუფლების განსამტკიცებლად, შეაქვს მუშათა და გლეხთა მასებში კომუნისტური აღზრდა და სოციალისტური იდეალი. საქართველოს და საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკათა მასწავლებლობაც დაადგა სოციალისტური აღმშენებლობის გზას და ამიერიდან ჩვენი კავშირის განათლების მუშაკებს აქვთ ერთი აზრი და მიზანი; მშრომელი ხალხის გათვითცნობიერება და კომუნისტური აღზრდა. ეს საერთო დანიშნულება.

დე, კომუნიზმის ვარსკვლავი გვინათებდეს გზას ჩვენი დიდი მოვალეობის ასრულებისას.

ამხ შავერდოვის სიტყვა.

მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირის მშრომელ ხალხებს მოაკლდა უდიდესი მასწავლებელი მწვრთნელი ხელი; მასწავლებლობის მოვალეობა ხალხის წინაშე ერთი ორად იზრდება. ჩვენი მიზანი უნდა იყოს, რათაც არ უნდა დაგვიჯდეს, განვახორციელოთ ამხ ლენინის მცნება: მასების გათვითცნობიერება, მათი სწავლება. დიდმა მოძღვარმა გვითხრა გაიმარჯვებს მხოლოდ გათვითცნობიერებული მშრომელი ხალხი.

ამხ. სუტირინის სიტყვა.

ამხ. სუტურინი ყრილობას ესალმება წითელი ლაშქრის სახელით. იგი ადარებს დღევანდელ არმიას მეფური დროის ჯარს და აღნიშნავს, თუ რამდენად ამაღლებულია იგი პოლიტიკურად და კულტურულად. დღეს ჯარი უკვე აღარ წარმოადგენს ისეთ ძალას, რომლის გამოყენება ამა თუ იმ პირის სურვილისამებრ შეიძლებოდის. მუშა და გლეხი წითელ ყაზარმებში ღებულობს კულტურულ აღზრდას და სოფლად ბრუნდება, როგორც კულტურის შემტანი ელემენტი. მასწავლებლობა, რომელმაც იკისრა წითელი არმიის შეფობა მოვალეა გააძლიეროს თავის საკულტურო საგანმანათლებლო მოღვაწეობა იმ ახალგაზრდებში, რომელნიც შესცვლიან უკვე სამხედრო ბეგარამოხდილ და შინ გაშვებულ ახალგაზრდებს. ამ თხოვნით ამხ. სტურინი ესალმება ყრილობას.

მქერვალთა კავშირში

მოწოდება.

საქართველოს მქერვალთა ცენტრალურ პროფესიონალურ კავშირთან არსებული ამავე კავშირის საისტორიო-სარედაქციო კომისია სთხოვს იმ მქერვალ ამხანაგ მუშებს, რომლებსაც სხვადასხვა დროიდან საქართველოს გასაბჭოებამდე მოეპოვებათ წარსულში პროფესიონალური მოძრაობის მასალები, ან მოგონებები თავიანთი პირადი მონაწილეობაზე, აღნიშნული მასალები მიაწოდონ ა. წ. 24 თებერვლისათვის (მუშათა სასახლე, მე-4 სართული, ოთახი № 60).

საისტორიო-სარედაქციო კომისია.

მეცნიერება და ტეხნიკა

ახალი ვიტამინების შესახებ.

კვების საკითხებს ახლა დიდის ყურადღებით იკვლევენ ევროპისა და ამერიკის ფიზიოლოგიურ ლაბორატორიებში. და ამ საკითხებს შორის საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საკითხს ვიტამინების შესახებ.

თითქმის ყოველი ახალი მედიცინის ჟურნალი ახალ რაიმე მასალას იძლევა ვიტამინების შესახებ. ასე მაგალითად ექიმებმა ოსბორნმა და მენდელმა, რომლებიც იკვლევდნენ ამ საკითხს ამერიკაში, დაადასტურეს კვლავ, რომ ვიტამინების შექმნის წყაროთ უნდა ჩაითვალოს მცენარეულობის მწვანე ნაწილები, ხორცის პროდუქტებში კი ყველ ზე მეტად მოიპოვება ვიტამინები თევზის ქონში, კარაქში და ცხოველების ქონში. ამ ავტორებმა სხვათაშორის გამოიკვლიეს, რომ ღორის ქონში ვიტამინები თითქმის არ მოიპოვება, ვიტამინები არის ცხვრის და ძროხის ხორცში.

ოსბორნი და მენდელი ჰკვებავდნენ ვირთხებს საჭმელით, რომელშიც ვიტამინები არ იყო, ამ შემთხვევაში ვირთხების წონამ დაიკლო, როგორც კი საკვებში მიუმატებდნენ კარაქს ან სხვა რაიმეს, რომელშიც ვიტამინები არის, ვირთხების წონა კვლავ მატულობდა. ღორის ქონის მიმატება საკვებში კი წონის არავითარ მიმატებას არ იწვევდა. პირველათ, მართალია, წონა თითქო მატულობდა, შემდეგ ერთბაშად იწყებდა კლებას და თუ საკვებში ღორის ქონს გარდა სხვა რამეს არ მიუმატებდნენ, ვირთხები იღუპებოდნენ.

რით აიხსნება ის გამონაკლისი, რომელსაც ღორის ქონი წარმოადგენს სხვა საკვებს შორის? შესაძლებელია ეს აიხსნება ღორების კვების წესით, საზღვარ-გარეთ. ვიტამინების შექმნის წყაროს წარმოადგენს მცენარეულობა. საზღვარგარეთ კი ქონისათვის „სასუქში“ მყოფ ღორებს არ უშვებენ საძოვარზე და ჰკვებენ სადილის ნარჩენით და სხვ., რაშიც ცოტაა ვიტამინები.

ელიზე რეკლიუს ბიბლიოთეკა.

ცნობილი გეოგრაფის და ანარქისტის ჟან-ჟაკ ელიზე რეკლიუს ბიბლიოთეკა, რომელიც 30,000 მეტ ტომს შეიცავდა მისი სიკვდილის შემდეგ ინახებოდა ბრიუსელში. შარშან ეს ბიბლიოთეკა გაჰყიდეს იაპონიაში. ის შეიძინა იაპონელმა სოციალისტმა იშიკავა სამშირომ. ყველა წიგნები 49 ყუთში ჩააწყვეს და გაგზავნეს იაპონიაში, მაგრამ იაპონიის საბაჟოში ბიბლიოთეკას კონფისკაცია უყო პოლიციამ, რომლის აზრითაც ბიბლიოთეკა სოციალისტური მიმართულების საშიშ წიგნებს შეიცავდა. სხვათაშორის ბიბლიოთეკაში არის ნამდვილი საბუთები პარიზის კომუნის დროიდან, რომელშიც ელიზე რეკლიუ უშუალო მონაწილეობას იღებდა.

ქრონიკა

იტალიის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობის გამო.

გუშინ, 13 თებერვალს, დღის 1 საათზე იტალიის წარმომადგენელმა ტფილისში ლამანიამ ინახულა საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ლ. ღოღობერიძე, მიულოცა მას იტალიის მიერ ს. ს. რ. კავშირის დე-იურეთ ცნობა და იტალიასა და ს. ს. რ. კავშირის შორის სავაჭრო ხელშეკრულების დადება და გამოსთქვა იმედი, რომ ეს პირველხარისხოვან მნიშვნელობის აქტები შეიქმნებიან მთავარ ფაქტორებათ იტალიასა და ს. ს. რ. კავშირის შორის მჭიდრო ეკონომიური თანამშრომლობის განვითარებისათვის და გახსნიან ახალ ერას ორივე მხარის ურთიერთობის დამოკიდებულებაში.

ამხ. ლ. ღოღობერიძემ ლამანიას უპასუხა, რომ ს. ს. რ. კავშირის ეროვნებანი, კერძოდ კი საქართველოსი, უღრმესი კმაყოფილების გრძნობით შეეგებენ ს. ს. რ. კავშირის იურიდიულად ცნობის ამბავს, რომელიც უეჭველად წარმოადგენს თავდებს მთელ მსოფლიოში მშვიდობიანობის დამყარებისას და როგორც რუსეთის და მასთან მოკავშირე რესპუბლიკების, აგრეთვე მთელი ევროპის ეკონომიურად აღორძინებისას.

— **ტფილისის მშრომელთა დახმარება გერმანიის პროლეტარიატისათვის.** გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოდ გამართული შემოწირულები საკმაო დიდი თანხ მოგროვდა. უკვე გადაგზავნილია გერმანიის პროლეტარიატის დამხმარე ფონდისათვის მოსკოვში რუსეთის კომპარტიის ცეკას სახელზე 63,303 მან. და 12 კაპ. ჩერვონცით. აღნიშნულ თანხის გადაგზავნის შემდეგ კიდევ შემოვიდა 480 ჩერვ. მანეთი, რაც იგზავნება.

— **სამხედრო საკვებ პუნქტის ბინის შეკეთება.** ქალ. აღმასკომმა წინადადება მისცა კეთილ-მოწყობის განყოფილებას დაუყოვნებლივ შეაკეთოს სამხედრო საკვებ პუნქტის ბინის შენობა.

— **დახმარება პროლეტარულ სტუდენტებს.** ქ. აღმასკომმა დაადგინა ტფილისის პროლეტარულ სტუდენტთა ბიუროს დახმარების სახით ყოველთვიურათ აძლიოს 200 მან. ჩერვონცებით.

— **შემფასებელი მაგიდა.** ქ. აღმასკომის დადგენილებით შემფასებელი მაგიდა გამოყოფილ იქნა უქსიდან და გადაეცა საფინანსო განყოფილებას.

— **შრომის ბირჟა.** შრომის ბირჟის კომიტეტში ქალ. აღმასკომის წარმომადგენლათ დაინიშნა ამხ. არჩილ რუხაძე.

— **დახმარება ინვალიდებს.** ქუთაისის სოც. უზრუნველყოფის განყოფილებამ იანვარში პენსიების და დახმარების სახით ომის ინვალიდებს მისცა 97 მან. ჩერ. და 30 კ., შრომის ინვალიდებს 109 მ. და 50 კაპ. ჩერ.

— **საგარაკო მკურნალობა.** დამზ. კასის ცნობით, 1923 წ. სეზონში საქართველოს კურორტებზე საგარაკო მკურნალობა მიიღო 657 დაზღვეულ ავადმყოფებმა.

— **დასასვენებელი სახლები.** ტფ. დამზღ. კასამ 1923 წ. განმავლობაში დასასვენებელ სახლების მოწყობაზე დახარჯა 234 მილიარდი და 485 მილიონი.

— **შრომის კანონი.** შრომის კომისარიატმა გამოუშვა ბიულეტენი № 2, სადაც მოთავსებულია ნოემბრის და დეკემბრის 1923 წ. გამოცემული ყველა შრომის კანონები.

— **სასოფლო სამეურნეო შრომის ინსპექტორი.** შრომის კომისარიატმა დაადგინა შემოიღოს სასოფლო-სამეურნეო შრომის ინსპექტორის თანამდებობა.

— **ახალი შემნახველ-გამსესხებელი კასა.** სახ. კომისარიატების გაერთიანებულმა კრებამ დაადგინა ყოფ. კადეტთა კორპუსის შენობაში გახსნას შემნახველ-გამსესხებელი კასა.

— **გლეხკომების ფონდი.** ტფ. მაზრის გლეხთა კომიტეტებს დაგროვილი აქვთ ფონდში ფულად 2238 ჩერ., 4,273 ფ. და 10 გირ. ხორბალი, 484 ფ. ქერი, 100 ფ. სიმინდი, 132 ფ. კართოფილი, 3 ხარი, 2 ძროხა, 12 ცხვარი და 42 ნახ. დესეტინა მიწა და 10 დესეტინა ტყე.

— **სამრეწველო დაწესებულებების გახსნის შესახებ.** სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭომ გამოიმუშავა გეგმა სამრეწველო დაწესებულებების გახსნის უფლების შესახებ.

— **ქარვასლის შენობის მაგიერ ლენინის ძეგლი.** ქალ. აღმასკომს განზრახვა აქვს ქარვასლის დაძველებული შენობა, რომელიც მდებარეობს თავისუფლების მოედანზე, დაანგრიოს და მის ადგილას აღმართოს ამხ. ლენინის დიდი ძეგლი.

— **დამზღვევ კასის წევრთა სიკვდილის რაოდენობა.** დამზღ. კასის წევრთა სიკვდილის რაოდენობა 1923 წ. განმავლობაში უდრის 1230 კაცს.

— **დახმარება სახლში მწოლიარე ავადმყოფთ.** დამზღვევმა კასამ დააარსა სპეციალური კომისია სახლში მწოლიარე დაზღვეულ ავადმყოფთა დასახმარებლათ.

— **დახმარების რაოდენობა.** უმუშევართა დამზღვევ ქვე-განყოფილებამ იანვრის განმავლობაში დაზღვეულ უმუშევრებს დახმარების სახით მისცა 1 ტრილიონი, 640 მილიარდი და 500 მილიონი მან.

— **შრომის ბირჟა.** 12 თებერვალს შრომის ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა—309 უმუშ. ახლად ჩაეწერა—132, მოთხოვნილება იყო—47, სამუშაოზე გაიგზავნა—46.

— **ექიმთა და ბუნებისმეტყველთა საზოგადოებაში.** პარასკევს, 15 თებერვალს, საღამოს 6 საათზე, სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-15-ე აუდიტორიაში შესდგება საქართველოს ექიმთა და ბუნების-მეტყველთა საზოგადოების საბუნების-მეტყველო სექციის მორიგი სხდომა. დღის წესრიგი იქნება: 1) მოხსენებები: ა) ნიკ. იოსელიანის: „ჩვენებურ ტურების შესახებ“ (canis aurens), ბ) ივ. ჩხიკვიშვილის: „სოფ. ლელობში მოკლულ ვეფხვის შესახებ“. 2. მიმდინარე საკითხები. დასწრება ყველას შეუძლიან.

— **სამძიმრის დეპეშები.** ლანჩხუთის რაიონული კომიტეტი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს ამხ. ალექსანდრა კონსტანტინეს ასული ცაგარელი ძნელაძის უდროვოდ დაკარგვის გამო.

— ყურედიდის მუშა-მოსამსახურენი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ალექსანდრა ცაგარელი-ძნელაძის გარდაცვალების გამო.

შემთხვევები

— **შეპყრობა.** 11 თებერვალს შეიპყრეს შაქრო მოხონიანცი, რომელსაც ბრალდება მოქ. იენკიბერიანცის ბინის გაქურდვა. დამნაშავეს თან აღმოაჩნდა ნაქურდალი.

— **ქურდობა.** 11 თებერვალს, ევანგულოვის ქ. № 8 გაქურდეს მოქ. ნინა რამიშვილის ბინა. წაღებულია 2 ბრილიანტის ბეჭედი, სამაჯური ოქროსი, რგოლის ბეჭედი, 10 ჩერვონეცი, 25 ქაღალდის ოსმალური ლირა და სხვა საოჯახო ნივთები, რომელთა ღირებულება უდრის 200 ჩერვონეცს. ძიება სწარმოებს.

— **თავის მოწამვლა.** 11 თებერვალს, საღამოს 5 საათზე მუშტაიდის ბაღში მდებარე აბრეშუმის სადგურში თავი მოიწამლა მოქ. ქსენია გრიგოლის ასული პილაშვილმა, რომელიც იქვე გარდაიცვალა. გარდაცვალებულს დაუტოვებია წერილი, რომელშიაც აღნიშნულია, რომ მის სიკვდილში ბრალი არავის დასდონ.

— **გაუპატიურებისათვის.** 11 თებერვალს კარაჯალის (ყარაიაზის რაიონი) სადგურის უფროსის მოსამსახურე გოგო ვარვარა ტერ-ოგანესოვი მწყემსავდა ძროხებს სადგურიდან ორი ვერსის დაშორებით. მას დაეცა იმავე სოფლის მცხოვრები აბდულა კოჯა-ოღლი და უნდოდა გაეუპატიურებია, მაგრამ ქალის სასტიკი წინააღმდეგობის გამო მიზანს ვერ მიაღწია. დამნაშავე შეიპყრეს.

ხელოვნება

კომპოზიტორ ტერ-გევონდიანის კონცერტი.

ახალგაზრდა სომეხმა მუსიკალურმა მოღვაწემ ანუშავან ტერ-გევონდიანმა საზოგადოების სამსჯავროს წარუდგინა თავისი მუსიკალური ნაწარმოებები.

შესრულებული იყო საორკესტრო ნაწარმოებები ვოკალური და ისეთები, რომელნიც ფორტეპიანოს ლიტერატურას ეკუთვნიან.

ლეგენდა „ანტაშარ“-ი ეკუთვნის კომპოზიტორის უახლოეს ნაწარმოებებს. ამ ნაწარმოებიდან სჩანს, რომ ავტორი კარგათ იცნობს ორკესტროვკას, საინტერესოა ჰარმონიზაციაც, მაგრამ სამწუხაროთ, ლეგენდამ მაინც მკრთალი შთაბეჭდილება დასტოვა; ახალგაზრდა გამოუცდელმა კაპელმეისტერმა საფარიანმა ვერ შესძლო მოეცა კომპაქტიური საორკესტრო ხმოვანება და გამოეყო მთავარი მელოდიები. გამუდმებით ისმოდა მხოლოდ ცალკე ინსტრუმენტების ხმა, მთავარი მელოდია კი არ იყო ხაზგასმული.

ასეთივე ნაკლი სჩანდა პოემა „ვააგნის დაბადება“-ში. ამ ნაწარმოებს ახასიათებს მეტათ დამძიმებული ინსტრუმენტოვკა; ორკესტრის მელოდია დამოუკიდებელია. კომპოზიტორმა ვერ მოგვცა სრული პოლიფონიური სურათი, შეიძლება პარტიტურაში ის იყოს, მაგრამ საორკესტრო შესრულებაში ის არ სჩანდა.

კოლორიტულად არის დამუშავებული ორკესტროვკის მხრივ ნაწყვეტი ოპერიდან „ძველი ღმერთები“—მხედართა მსვლელობა. აქ მელოდიაც, რიტმიც და მთელი საორკესტრო აღნაგობა ორიგინალურია. რიტმის მხრივ ეს ნაწარმოები მოგვაგონებს „დოდონის მსვლელობა“-ს რიმსკი-კორსაკოვის ოპერიდან „ოქროს მამალი“ და „სარდარის მსვლელობა“-ს იპოლიტოვ-ივანოვის კავკასიურ ესკიზებიდან; მელოდიის მხრივ ეს ნაწარმოები დამოუკიდებელი და ახალია.

კარგი შთაბეჭდილება დასტოვა ვოკალურმა ნაწარმოებებმა (ორი ნაწყვეტი ოპერიდან „ძველი ღმერთები“, რომელიც შეასრულა მომღერალმა ქალმა სოგომონოვამ) და ხალხურმა სიმღერამ, რომელიც შეასრულა მომღერალმა ქალმა ოგანესოვამ.

ფორტეპიანოს ნაწარმოებებიდან კარგია სამხმიანი ფუგა და Pondo. კარგია „ესკიზი“-ც.

სახელმწიფო ოპერის მსახიობმა მოსინმა შეასრულა ორი არია ზემოაღნიშნულ ოპერიდან; არია შესრულებული იყო კოლორიტულად, მაგრამ ის მოითხოვს ხმის დიდ ტეხნიკას.

სავსე აუდიტორიამ მარშის შემდეგ მხურვალე ოვაციები გაუმართა კომპოზიტორს; მარში ტემპერამენტით და რიტმით იყო შესრულებული სახელმწიფო ოპერის დირიჟორის ბრონის მიერ.

ბ. ზიზუთოვი.

ხელოვნების სასახლე

სამშაბათს, 12 თებერვალს, ხელოვნების სასახლეში გაიმართა მორიგი სალიტერატურო საღამო საქართველოს პროლეტარულ მწერალთა კავშირის. საღამო გახსნა ს. ეულმა. პირველად მოხსენება წაიკითხა იოსებ გედევანიშვილმა თემაზე: „პროლეტარული ხელოვნება.“

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა რ. კალაძემ, იონა ვაკელმა, გრ. კალანდარაშვილმა, ნოე ზომლეთელმა, შ. დუდუჩავამ, პ. ქიქოძემ, ბაბილინამ, მიმქრალმა, მ. ღოღობერიძემ და სხ.

ს. ეულმა ამცნო დამსწრეთ, რომ მომავალ საღამოზე წაკითხული იქნება ამხ. ტროცკის წერილები პროლეტარულ ხელოვნების შესახებ.

როიალზე დაუკრა კომპოზიტორმა მანსვეტაშვილმა.

მუშა დოღდი.

— **კრისტინეს გასამართლება.** შაბათს, 16 თებერვალს, მუშათა სასახლის დარბაზში (რუსთაველის პროს. № 17) მწერალ ქალთა ჯგუფი მართავს ქრისტინეს (ნინოშვილის მოთხრობის გმირი ქალი) გასამართლებას.

— **წითელი თეატრი.** საქ. პროლეტკულტმა გადასწყვიტა 1 მაისისთვის ტფილისში გახსნას წითელი თეატრი. თეატრი უფასო იქნება წითელარმიელებისა, ახალგაზრდა კომკავშირის და პროფკავშირის წევრთათვის.

— **სტალინის სახელობის მუშათა კლუბი.** ამხ. სტალინის სახელობის მუშა-მოსამსახურეების კლუბთან მოეწყო საერთო განათლების კურსები, წევრებისათვის უფასოთ.

ამხ. საშა ობოლაძის ხსოვნას

ალექსანდრე ობოლაძე (სიროტინი) იყო ერთი იმ გმირთაგანი, რომელთაც გამხეცებულ მტრის წინაშე ლაჩრულად ქედი არ მოიხარეს და თავისი უმანკო სისხლით დაიცვეს რევოლუცია და მშრომელთა კერა განადგურება-გაპარტახებისაგან.

ამხ. ალექსანდრე დაიბადა 1883 წ. ათი წლის რომ გახდა, დაობლდა. მის დედას, მატრონე გრიგოლის ასულს, საშას გარდა კიდევ დარჩა სამი შვილი. ოთხი წვრილი-შვილის პატრონ დედას, ცხადია დიდი გაჭირვების ატანა მოუხდებოდა, რაც უეჭველია პატარა საშას ფსიხიკას თავის დაღს დაასვამდა. ეს ასეც მოხდა. პატარაობიდანვე იწყება საშას გაჭირვება და უკუღმართ ცხოვრების მსვლელობის წინააღმდეგ დაუცხრომელი ბრძოლა. მშრომელთა ინტერესების დაცვა თავიდანვე თავის საყვარელ საქმედ გაიხადა ამხ. საშამ.

დღიდან სოც.-დემოკ. პარტიის ორ ფრთად გაყოფისა, საშა ბოლშევიკების რიგებში ჩადგა და სიკვდილამდე ხელიდან არ გაუშვია პროლეტარული რევოლუციის დროშა. ხშირად განიცდიდა ის დევნას, პატიმრობას და სხვა გასაჭირს, მაგრამ აქით მისი რევოლუციონური ნებისყოფა არ მოდუნებულა, მაგარი იყო მისი სულის მისწრაფება და მედგრათ ხვდებოდა იგი ყოველ გაჭირვებას და განსაცდელს. ვინ არ იცნობს საშას მუშაობას 1905 და 1906 წლებში?

საშა ობოლაძე ზოგიერთებივით მყვირალა რევოლუციონერი არ იყო. მის სიტყვას ყოველთვის საქმე, პრაქტიკული ნაბიჯები ამშვენებდნენ და მიტომ იყო, რომ საშა საყვარელ პიროვნებათ გადაიქცა ყველასათვის.

საბჭოთა ხელისუფლების საქართველოში შემოსვლის პირველ ხანებში, საშა გულმოდგინეთ შეუდგა აზბოქრებულ მტრის დაწყნარებას ტფილისში. აქ საქმის დასრულების შემდეგ იგი ბანდიტებთან საბრძოლველად იგზავნება ჯერ ჩოლოყაშვილის წინააღმდეგ, შემდეგ კი ქ. ოზურგეთში. პირველი მისია ჩინებულად შეასრულა და მტრის ბანდიტურ რაზმებიდან გასწმინდა ხევსურეთი, ასევე განაგრძობდა ის დაკისრებულ საქმეს გურიაშიც, მაგრამ გასული წლის 10 თებერვალს ბანდიტებმა სიცოცხლე მოუსპეს, როგორც საშას, ისე მის ორ ამხანაგს სანიკიძეს და ჩუბინაშვილს.

1923 წ. თებერვლის 8-ს (მისი სიკვდილის 2 დღის წინ) აი რას სწერს თავის მეუღლეს ამხ. საშა: „... ეს აქამდე რატომ არ იცი, რომ მე ბევრი მტერი მყავს და ეს ცოტაა, რომ ჩემზე არა ერთხელ გაუვრცელებიათ ასეთი ხმები“. (აქ ლაპარაკია იმ ხმებზე, რომლებიც დაჰყარეს სწორეთ 1923 წ. თებერვლის 5—6 მისი სიკვდილის შესახებ. ცოლმა საჩქაროთ გაგზავნა წერილი და სწორეთ ორი დღით წინეთ მისი სიკვდილისა. ე. ი. თებერვლის 8 იგი უგზავნის ამ [illegible] საპასუხო წერილს ცოლს). „მე კიდევ ვარ შენი უკმაყოფილო მით, რომ რევოლიუციონერს მტირალა ცოლი არ უნდა ჰყავდეს. მე რაც დავიბადე სულ მკლავენ. მაგრამ ამაზე დავჯდე და ვტირო? სულ არ შეეფერება ჩემს ხასიათს. რა დროს ტირილია. აიღე თოფი და წამოდი აქეთ. ვებრძოლოთ მშრომელ ხალხის მტრებს...

„მე იმასა ვტირი და ვნაღვლობ, რომ ყაჩაღები პირისპირ არა მხვდებოდნენ და შენ კი რას სტირი?

„მე ისე არ მოვკვდები, სწერს საშა, რომ ხალხს მალე დავავიწყდე. მე ძვირად დაუჯდა მტრებს საბჭოთა ხელისუფლებასთან ბრძოლას.. შენც უნდა გაკაჟდე როგორც მე“.

აი მთელი მისი სულის სიდიდე, მისი რევოლიუციონერობა, რომელიც ისე ძლიერი და მტკიცეა როგორც თვით რევოლიუციის იდეები. განა ზემოხსენებულ წერილის ყოველი სიტყვა საშა ობოლაძემ საქმით არ დაამტკიცა? დაამტკიცა და მით გახდა მისი სახელი დაუვიწყარი შეგნებული მშრომელი ხალხისათვის. საშამ თავის საქმით მაგალითი მოგვცა, თუ როგორ უნდა წმინდა საქმისთვის თავდადება და სიცოცხლის განწირვა. მართლაც მის მიერ დაწყებული საქმე სათაყვანებელი არის და იქნება ყველა მათთვის, ვინც მისავით ხალხის კეთილდღეობის საქმეს ემსახურება და მისთვის სულდგმულობს.

დღეს მისი ამხანაგები და ყოველი შეგნებული მუშა ინახულებენ საშას საფლავს და რევოლიუციონური სიმტკიცით გაიმეორებენ იმ აღთქმას, რომელიც დადებული იყო 1923 წ. თებერვლის 14, საშას დასაფლავების დღეს.

ბედნიერი ხარ საშა, რომ გმირთა სიაში მოხვდი. ბედნიერი ხარ, რომ ხალხის კეთილდღეობას შესწირე შენი სპეტაკი სიცოცხლე და უკანდაუხევლად ჩაჰკალი მტრის გულში ყოველივე მზაკვრობა და თავხედობის ნიშანწყალი. ამ სიმტკიცისათვის საქართველოს მშრომელი ხალხი არ დაივიწყებს შენს სახელს და წითელი დროშა, რომელიც შენ ხელთ გეჭირა და რომელსაც შენ შესწირე შენი სიცოცხლე, ამაყად იფრიალებს მომავალშიც განთავისუფლებულ საქართველოში და მთელს ქვეყანაზე.

ჩვენ განვაგრძობთ შენი გზით სვლას და მსახურებას იმ დიადი საქმისადმი, რომელსაც პროლეტარული რევოლიუცია ეწოდება.

შენ კი შენივე ლექსით გეტყვით:

„უკვდავი არის მათი სახელი,
სახელოვანათ ვინც რომ თავს დასდებს,
ვაშა იმ გმირებს, ვაჟკაც მეომრებს
ვაშა მათ აღმზრდელთ, ვაშა მათ დედებს“.

ა. ხ—ძე.

ქართულ მსროლელთა დივიზიის პოლიტგანყოფილება ამით აუწყებს ყველა სამხედრო და სამოქალაქო ორგანიზაციებს, რომ **ხუთშაბათს 14 თებერვალს**, საღამოს 6 საათზე დივიზიის ცენტრალურ კლუბში (ყოფილი პატარა თეატრი) გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ქართულ დივიზიის ყოფილ ძირითადი სასწავლო ათასეულის სამხკომის ამხ.

ობოლაძის

და ამავე ათასეულის უფროსთა შემადგენლობის ამხ.

ჩუბინაშვილის და სანიკიძის

ბანდიტიზმთან ბრძოლაში დაღუპვის დღიდან წლის შესრულების გამო. დივიზიის პოლიტიკური განყოფილება სთხოვს ყველა სამხედრო სამოქალაქო და მუშათა ორგანიზაციებს აღნიშნულ დროს გამოგზავნონ თავისი წარმომადგენელი.

— **პროლეტკულტში.** ახლო ხანში მოხდება პროლეტკულტის სამხატვრო სექციის გადახალისება, აგრეთვე განზრახულია პროლეტკულტთან მოეწყოს მუსიკალური განყოფილება.

— **„ზარატუსტრა ერანში“.** სამშაბათს, 19 თებერვალს, სახ. უნივერსიტეტის პირველ აუდიტორიაში ჟურნალ „ილიონის“ რედაქციის ინიციატივით გაიმართება მეხუთე ლიტერატურული სამშაბათი. ო. ფონ ვეზენდონკი წაიკითხავს მოხსენებას: „ზარატუსტრა ერანში“, კრებას გახსნის კ. გამსახურდია. მოწვეულნი არიან მწერლები და პროფესორები. შესვლა უფასოა.

— **არსენ ჯორჯიაშვილის ძეგლი.** სახალხო მოქანდაკემ ი. ნიკოლაძემ საქ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტს წარუდგინა პროექტი არსენ ჯორჯიაშვილის ძეგლის ასაგებათ.

დღეს თეატრებში

— **ოპერა**—წითელი ჯვარის სასარგებლოთ „ჯამბაზები და საბალეტო დივერტისმენტი“.

— **დრამა**—„გაზ“ პრემიერა.

— **სახ. სახლი**—რუსული წარმოდგენა.

პროვინციაში

ხევი (დუშეთის მაზრა)

პროლეტარიატის დიდი ბელადის სიკვდილის ხმა ელვისებური სისწრაფით მოედო მთელ ხევს.

ძაძით შემოსილმა მყინვარმა, კვირას, 27 იანვარს, თოვლ-ბუქში გახვია თვისი საბრძანებელი—ხევი. მიუხედავად ამისა, ამ დღეს საზოგადოებამ ბლომად მოიყარა თავი ს. სიონში, აღმასკომის დარბაზში. აქ იყვნენ: სოფლების საბჭოების წარმომადგენლები, კომიაჩეიკის წევრები, მასწავლებელთა კორპორაციის წარმომადგენელი და სხვ. ბელადის დაკრძალვის დღე აღინიშნა სამგლოვიარო პროცესიით, რომელსაც ხელმძღვანელობდა ამხ. სუჯაშვილი, ადგილობრივი თემაღმასკომის თავმჯდომარის თანაშემწე. პროცესია გაიხსნა სამგლოვიარო ჰიმნის სიმღერით, იგი დაიწყო თემაღმასკომიდან. ამხ. ილიჩის ტრაურით მორთული სურათი მოჰქონდა ორ ტრაურით მოსილ ამხანაგს, რომელთაც ორივ მხრივ მოსდევდა ხმალ-ამოღებული რამდენიმე საპატიო დარაჯი. მსვლელობას აშვენებდა უკან მწყობრად მომავალი ახალგაზრდათა რაზმი. პროცესიამ განვლო ორ ვერსამდე. ხალხი, მუხლამდე თოვლში მდგარი, ქუდ მოხდით პატივსა სცემდა ბელადის სურათს. პროცესია მივიდა ადგილობრივი სკოლის დარბაზთან, რომლის ეზოშიაც სალიუტით ეცნობა საზოგადოებას ამხ. ილიჩის დაკრძალვის მომენტი. ამის შემდეგ ხსენებულ დარბაზში გაიხსნა კრება ამხ. ბადაშვილის მოკლე მგრძნობიერ სიტყვით, რომელშიც მან დაახასიათა ამხ. ლენინის პიროვნება და მოღვაწეობა. სიტყვები ითქვა ამხ. ჩოხელის მიერ მასწავლებელთა კორპორაციის სახელით და ამხ. სუჯაშვილის მიერ ხევის საზოგადოების მხრით. დღის შესაფერი ლექსი წაკითხულ იქმნა ამხ. ლუდუშაურის,—ადგილობრივი სკოლის მასწავლებლის მიერ. სიტყვა თავდებოდა მუხლმოდრეკით ბელადის სურათის წინაშე. საერთოდ პროცესიას დიდებული შეხედულობა ჰქონდა და წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა დამსწრე საზოგადოებაში. იგი დაიშალა საღ. 7 ნახ. საათზე.

ნაცნობი.

სუფსა

ადგილობრივ გლეხების უმთავრეს შემოსავლის წყაროს სიმინდი წარმოადგენს. წელს მოსავალი შედარებით საშუალო იყო. გლეხები დიდ იმედებს ამყარებდნენ ამ ერთადერთს მათ შემოსავალზე, რომ მასში აღებული ფულით ცოტათ თუ ბევრად დაეკმაყოფილებიათ გაჭირვებული ოჯახის შემადგენლობა, მაგრამ კერძო ბაზარზე ამ დროს ფუთი სიმინდი მხოლოდ 20—22 კაპ. ფასობდა და ისიც ბევრის მყიდველი არავინ იყო.

მუშათა ცხოვრება

სახალხო სახლი

(ქალაქის აღმასკომის საყურადღებოდ).

თუ რა დიდი კულტურული მნიშვნელობა აქვს სახალხო სახლს მუშათა კლასის აღზრდა-განვითარებაში, ამაზე ზედმეტია ლაპარაკი. მხოლოდ მინდა მივაქციო ყურადღება შემდეგ გარემოებას. სახალხო სახლის აუდიტორია არ არის მუშური; იშვიათად შეხვდებით აქ ხელოსან-მუშას, ან მის ოჯახს.

რუსულ წარმოდგენებზე დაიარება უმთავრესათ საშუალო კლასი—მოხელეობა, ქართულ წარმოდგენებზე კი უმთავრესა მუშები. სამწუხაროდ, ამ სახლში არღვევენ წესრიგს ქუჩის უპასუხისმგებლო ბიჭბუჭები, რომელნიც დიდი რაოდენობით ესწრებიან წარმოდგენებს. აქ ხშირია მაგალითი პიესის მსვლელობის დროს უადგილო რეპლიკებისა ქანდარიდან; აქ ხშირად გაიგონებთ უშვერი სიტყვების ხმარებას, სიცილს და ზოგჯერ ლანძღვასაც; ყოფილა შემთხვევა, რომ დარბაზში შემოსულან მთვრალი ელემენტნიც, რომელნიც თავისი უმსგავსო საქციელით იპყრობდენ საზოგადოების ყურადღებას იმის და მიუხედავათ, რომ თეატრის კომისარი ამხ. ჯაფარიძე და მისი თანაშემწე ყოველგვარ ზომებს ღებულობენ ხოლმე ამგვარი მოვლენების ასალაგმავად, მაინც შეუძლებელია წესიერების დამყარება, რადგანაც რაიონის მილიციიდან არ იგზავნება სათანადო რიცხვი მილიციონერებისა წესიერების დასაცავად. ამისთანა შემთხვევაში საჭიროა მილიციის წარმომადგენლის ყოფნა დარბაზში, თორემ შეუძლებელი ხდება პიესის მოსმენა. ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოისპოს სახალხო სახლში იმგვარი მოქალაქეების დაშვება, რომელნიც თავისი უხეირო საქციელით სცემენ სახ. სახლის პრესტიჟს. ქალაქის აღმასკომმა კი უნდა მიიღოს ყოველგვარი ზომები, რათა სახალხო სახლში გააძლიეროს მუშათა აუდიტორია, და დამყარდეს დარბაზში წესიერება, თორემ მარტო თეატრის კომისარი ვერაფერს გახდება.

მუშკორი მელითონე.

რკინიგზის მუშათა ცხოვრებიდან.

(პროფკავშირთა ხაზ[illegible] კის და ქარხკომის საყურადღებოდ)

სამასალო ს[illegible] ხელოსნურის ქარხნებში მუშაობს ასამ[illegible] დრო მუ[illegible]. მათში ძველი დროის და[illegible] ცუდი თვისებებიდან ბევრი რამ აღმოიფხვრა, მაგალ. ქურდობა, ეროვნული სიძულვილი სრულიად ისპობა და მის ნაცვლად მუშებში მტკიცდება სოლიდარული განწყობილება. მაგრამ ამავე დროს შეურყევლად და მტკიცედ არის დაცული ძველი „ძმაბიჭობის" გამხრწნელი ტრადიცია „სამიკიტნოებში ხეტიალი". ამას კი დიდი ზიანი მოაქვს როგორც მათი გონებრივი წინმსვლელობისთვის და მათი ჯიბისთვის, აგრეთვე დიდ ზიანს აყენებენ ისინი თავის ფიზიკურ არსებობასაც. ეს შეუგნებელი პირები, დიდ ზიანს უყენებენ იმ წარმოებას, სადაც მათ უხდებათ მუშაობა, რადგან ღვინის სმის შემდეგ საშინლად სუსტდებიან და რამდენიმე ხნით ეკარგებათ ნორმალური შრომის უნარი. ამ გარემოებას უნდა მიექცეს დიდი ყურადღება. ლოთობა უნდა უსათუოდ მოისპოს ჩვენ მუშებში.

მუშა ივ. ბ—შვილი.

ნიკო გოცირიძის 25 წლის იუბილეს გამო.

ამ დღეებში „კომუნისტ"-ში ამოვიკითხე, რომ თებერვლის დამლევს გაიმართება იუბილე ნიკო გოცირიძის 25 წლის სასცენო მოღვაწეობის აღსანიშნავად. ეს გარემოება ფრიად საყურადღებოა ჩვენი მუშებისათვის, რადგანაც ის მუშათა ოჯახიდან არის წარმოშობილი და მუშათა წრეებში გაუტარებია თითქმის სამი მეოთხედი თავის მოღვაწეობის დრო... როგორც ანგარიშიდან სჩანს, მისი სასცენო მოღვაწეობა დაიწყო 1898 წლიდან. მაგრამ მე, როგორც მასთან შეზრდილ ამხანაგს და სათეატრო საქმეში ერთად ნამუშევარს, მინდა ვაუწყო სხვებსაც, რომ ნიკომ დაიწყო სცენაზე მუშაობა უფრო ადრე 1892—1893 წლებში. ჩვენ ხშირად დაგვიდგამს წარმოდგენები ქალაქის განაპირა უბნებშიაც.

ერთი ასეთი სახალხო წარმოდგენაც გვქონდა ვანქის უბანშიც 1893 წელს. სახელდობრ — ტერ-ეზნიკას სახლში, სადაც მონაწილეობას იღებდა გიმნაზიელების სამხედრო მუსიკა. ამგვარი წარმოდგენები ხშირად იმართებოდა სხვადასხვა უბნებშიაც, სადაც დიდის ხალისით და სინდისიერად ასრულებდა ნიკო დაკისრებულ როლებს. ამ გრძელი წლების განმავლობაში ის არ მოშორებია სახალხო სცენას და ამავე დროს ის ფიზიკურ შრომასაც ეწეოდა და მით არჩენდა მოხუც მამას, ავადმყოფ ძმას და მასთან უშფოთველად ემსახურებოდა სახალხო საქმეს და მუშათა მასის სწავლა-განვითარებას.

ასეთი უანგარო მუშა-მსახიობის დაფასება საჭიროც და სამართლიანიც იყო იმიდია, ამგვარ ერთეულ მუშათა სცენის დარაჯსაც შესაფერ პატივისცემას გაუწევენ როგორც უმაღლესი ორგანიზაციების პრეზიდიუმი, აგრეთვე მუშათა მასაც. გაუმარჯოს მუშა-მსახიობს. გაუმარჯოს მუშა ხელოვანს.

მუშკორი ს. ბაჯიაშვილი.

გამოგზავნილი წერილებიდან.

მტრის გულის მოსაკლავად ყველა მუშები ვეწერებით პარტიაში.

შინაურ და საზღვარ-გარეთელ ჩვენ მოსისხლე მტრებს ძალიან უხაროდათ ჩვენი დიადი მოძღვრის ილიჩის სიკვდილი. მათ ეგონათ, რომ ჩვენ ილიჩის სიკვდილის გამო დავკარგავდით გონებას, მივეცემოდით სასოწარკვეთილებას, დავკარგავდით ბრძოლის უნარს და გამარჯვების იმედებს, დავყრიდით იარაღს და სინანულის გრძნობით დავიჩოქებდით ჩვენი მტრების წინაშე, მაგრამ საშინლად მოსცდნენ და კიდევ ერთხელ მოსტყუვდნენ ჩვენი მტრები.

მართალია, ილიჩის სიკვდილი ჩვენთვის თითქმის აუნაზღაურებელი დანაკლისია, მაგრამ ამით ჩვენ გულს არ გავიტეხთ, ჩვენს რიგებს არავითარ შემთხვევაში არ დავასუსტებთ და ერთი ბელადის ალაგას ვეწერებით ათასი, ათიათასი და ასიათასი მუშები—ჩვენი ილიჩის პარტიაში, რათა უფრო საშინელი შევიქნეთ ჩვენი მტრებისთვის. თვით პარტია გვიადვილებს, ხელს გვიწყობს ამ დიად საქმეში.

ყველა, როგორც ერთი, ტფილისის პროლეტარები ვეწერებით ლენინის პარტიაში და ფიცსა ვსდებთ, მისი მოძღვრების განხორციელებისათვის ვიბრძოლოთ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე.

რკინიგზელი მუშა.

რა უნდა მუშათა ოჯახში ამ ქურდს და წუწკს ახალგაზრდას?!

(ქალაქის აღმასკომის საყურადღებოდ).

ავლაბარში ქურთულ ქუჩის მცხოვრებლებმა დიდ ვაი-ვაგლახით და გაჭირვებით შევაგროვეთ ფული და გავიყვანეთ წყალსადენი, რადგან უწყლოობის გამო დიდს ტანჯვას განვიცდიდით. მაგრამ ვაი-უბედურებას! ეს წყალსადენი აღმასკომმა მალე დაგვიკეტა წყლის ფულის შეუტანლობის გამო და ჩვენ ძველებურად ვიტანჯებით უწყლოდ... წყლის ფულს მთელ ოთხი თვის განმავლობაში ჩვენ ვიხდიდით, მაგრამ ეს ფულები აღმასკომში არც კი შეეტანა **მეურქე ანანოვს** (ახალგაზრდა კომკავშირის წევრად აღიარებს თავის თავს), და თვითონ დაეხარჯა თავის საჭიროებისათვის. საჭიროა, ეს მუშის ოჯახის დამამცირებელი ახალგაზრდა დაისაჯოს და ჩვენ გაგვეხსნას წყალსადენი.

ადგილობრივი მუშა.

ტყიბულის მაღაროთა მუშებს შრომის ხელფასს დროზე ვერ ურიგებენ.

(პროფკავშირთა საბჭოს და შრომის კომისარიატის საყურადღებოდ.)

ვინ არ იცის, რა მძიმე და აუტანელია შავბნელ მაღაროებში მუშაობა. რამდენ შიშს და ტანჯვასა გრძნობს მიწის ამ „შავ სამარეში" მომუშავე მუშა: რა დიდ ენერგიას, გაბედულებას და თავგანწირულებას მოითხოვს მუშისგან, ამ „ჯოჯოხეთში" მუშაობა. მიუხედავად ამისა, სამწუხაროდ, ჩვენ ვერ გვექცევა ჯეროვანი ყურადღება. ჯერ ერთი, რომ ჯამაგირებს ძალიან მცირეს ვიღებთ, მაგრამ ეს კიდევ არაფერია. ყველაზე უფრო შემაძრწუნებელია ის ფაქტი, რომ ამ მცირე, უმნიშვნელო ხელფასს გვირიგებენ ორ-სამ კვირის დაგვიანებით ძველი კურსით.

ამ შემთხვევაში ჩვენი ჯამაგირები სულ არაფრად იქცევა და ჩვენ მშიერ-ტიტველნი ვრჩებით. რას გავს ეს? განა საბჭოთა ხელისუფლების დროს ასეთი მოვლენა შესაწყნარებელია?!

ჩვენ მოვითხოვთ ადმინისტრაციის ეს უსამართლობა დაუყოვნებლივ იქნეს გამოსწორებული.

მაღაროელი მუშა.

მუშათა ქრონიკა.

რკინიგზელები ირჩევენ მუშ-კორესპონდენტებს.

რკინიგზის ტფილისის კვანძის ფოსტის კანტორის მუშა-მოსამსახურეება ამა წლის 31 იანვრის საერთო კრებაზე მუშკორად აირჩიეს ამხ. ამხ. ივ. აბრამიშვილი და ნ. ჩხეტია.

რკინიგზის დამცველ რაზმში.

მე-2 რაიონის რკინიგზის დამცველ რაზმის კულტ-კომისიასთან დაარსდა შემდეგი წრეები: პოლიტიკური, რომელსაც ხელმძღვანელობს ამხ. ბზეკალავა, მუსიკალური—ხელმძღვანელობს ამხ. კვაჭანტირაძე, დრამატიული წრე—ამ. მუმლაძის ხელმძღვანელობით და მომღერალთა გუნდი ამხ. 3 ჯულელის ხელმძღვანელობით. მეცადინეობა სწარმოებს ამავე რაზმის კლუბში.

მუშკორი კანო.

ამ დრ[illegible]ოს საშ[illegible]დნიეროდ სიმინდის ოპერ[illegible]ციის ხელ[illegible]ს ჰკიდებს ცეკავშირი, რი[illegible] ხელმძღვ[illegible]ნელობით ადგილობრი[illegible] „ეპო" ფ[illegible]უთს სიმინდზე ათ შაურს აცხადებს. ხალხი კმაყოფილებით შეხვდა ამ გამოცხადებას და მან [illegible] ემდეგ მხოლოდ კოოპერატივში [illegible] მოაქვს მისი ზედმეტი და ამ საჭ[illegible]იროებისათვის აუცილებელი გასაყი[illegible]ი სიმინდი. თუმცა არც ათი შაური არის სწორი ღირებულება, რადგა[illegible]ნ არშინ ნარმას ჩვენი „ეპო" 45 კ. [illegible] ჰყიდის და ომამდის კი, ერთი ფუ[illegible]ი სიმინდი ხუთ არშინს ყიდულო[illegible]და, მაგრამ ჩვენ მეურნეს კარგად ეს[illegible]ს მომენტის დაფასება და ღრმად და[illegible]იწმუნებულია იმაში, რომ საბჭოთა ხე[illegible]ისუფლება ყოველ ზომებს მიიღებს, რა[illegible]თა აღდგენილ იქნას ნორმალური [illegible]ეგომარეობა ქალაქსა და სოფელს [illegible]ორის. ამაში იგი ყოველდღე რწმუნდება, და ამიტომაა, რომ ის აღარავის აღარ აქცევს ყურადღებას, გარდა მთავრობის ორგანოებისა.

მეორე დარგი ჩვენი მეურნეობისა არის მეაბრეშუმეობა. 1923 წელს ჩვენ რაიონში 1600 ფუთამდე პარკი მოგროვდა, რის ავანსიც ფუთ პარკზე 13—50 კაპ. ზაფხულში მიიღეს მეაბრეშუმეებმა, მაგრამ დივიდენდი კი ჯერ არ მიუღიათ. ხალხი კი ცის მანანასავით მოელის დივიდენდის დარიგებას, რადგან სიმშვილეს განიცდიან. სასურველია, რომ ცეკავშირი დაჩქარებით მიიღებდეს ზომებს დივიდენდის დასარიგებლად და, რაც უმთავრესია, ისეთი ფართლეულობის მოსატანად, როგორიც არის ნარმა, ჩითი და მიტკალი, იაფ ფასიანები. რამდენად ნაღდათ დავაკმაყოფილებთ მეაბრეშუმეებს, იმდენად მეტად დავაინტერესებთ მათ ამ კულტურით.

ანი.

დაბა ხუჯუნა (სენაკის მაზრა)

დ. სუჯუნის მთლიანი შრომის სკოლის მოწაფეთ გადაწყვიტეს მოაწყონ სამკითხველო, რომლის ფონდისთვის ზოგიერთ მოწაფეებმა გამოსთქვეს სურვილი თვიურად გაიღონ 5 კაპ. ჩერვონცის კურსით. ამ საქმეში მათ დახმარებას უწევენ მასწავლებლებიც; თითოეული მათგანი სწირავს 10—11 კაპ. სამკითხველოს სასარგებლოთ მოწაფეების მიერ გამართულია საღამო, დადგმულ იქნა პიესა „დარისპანის გასაჭირი", ლიტერატურული პროგრამით.

გამოწერილი აქვთ თითო ცალი ჟურნალებისა: „ნაკადული", „ჯეჯილი" და „მომავალი". ღებულობენ აგრეთვე გაზ. „კომუნისტს" და „სპარტაკს".

ინფ.

ბიბლიოგრაფია

„რევოლუციის მატიანე" № 5

პარტიის ჟურნალი

საქართველოს მდიდარი რევოლუციონური წარსულიდან მეტად ძვირფას მასალას იძლევა ჟურნალი „რევოლუციის მატიანე"-ს მორიგი მეხუთე ნომერი, რომელიც სქელტანიან წიგნს წარმოადგენს და შეიცავს 378 გვერდს.

ჟურნალი იწყება ცეკას და სამაზრო პარტიის ისტორიის კომისიის დებულებებით, რომლებშიაც განსაზღვრულია ამ განყოფილების სტრუქტურა და ფუნქციები. შემდეგ მიდის დასასრული ამხ. ს. თალაკვაძის ისტორიული წერილების „საქართველოს რევოლუციონური მოძრაობის წარსული" 1870—1905 წ. მიუხედავათ ზოგიერთი ნაკლულევანებათა, რომელიც პრესაშიც იყო აღნიშნული, ამხ. თალაკვაძის მიერ მოცემული სურათი საქართველოს რევოლუციონური წარსულისა როგორც პირველი ცდა, ინტერესს არ არის მოკლებული.

[illegible] კალაძე დაწვრილებით აშუქებს [illegible]ათა ქართული ჟურნალ-გაზეთის" [illegible]რიას. ჟურნალის ამ ნომერში [illegible]სის იმ ისტორიულ პერიოდის [illegible]ას იძლევა, როდესაც მუშა[illegible]ამ გრანდიოზული ხასია[illegible]ა ცხოვრების ზედაპირზე ამოცურდა პარტიულ-მუშური პრესაც და შემდეგ კი ისევ განსაცდელში ჩავარდა.

აბელ ენუქიძის „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის არალეგალური სტამბების კავკასიაში მოწყობისა და მუშაობის ისტორია 1900—1906 წლამდე" ფარდას ხდის იმ თავდადებულ გმირთა მუშაობას, რომლებიც პარტიისთვის ბნელ სარდაფებში ნებაყოფლობით ჩამწყვდეულნი დღით და ღამით სასტიკი კონსპირაციის ქვეშ ბეჭდავდენ იმ აუარებელ რევოლუციონურ ლიტერატურას, რომელმაც მოამზადა ნიადაგი მეფის თვითმპყრობელობის და ბურჟუაზიის ბატონობის წასალეკად. ძვირფას მასალას წარმოადგენენ აგრეთვე გ. ჩხეიძის, კ. ცინცაძის, თ. კალანდაძის, ს. თოდრიასი, ლ. მიროტაძის, დ. რუხაძის ვ. ცაბაძის, გ. ნუცუბიძის და შ. დავითაშვილის მოგონებანი რევოლუციის სხვადასხვა ეტაპების და ეპიზოდების შესახებ, რომლებიც გატაცებით იკითხება წარსულით დაინტერესებული მკითხველის მიერ.

ამავე ნომერში მოთავსებულია ამხ. ფ. მახარაძის ავტობიოგრაფია და შემდეგ დაღუპულ ამხანაგთა: ნიკოლოზ გარიშვილის, ილარიონ სარჯველაძის და ნიკო ჩოდრიშვილის ბიოგრაფიები.

ჟურნალის პარტიულ არქივის განყოფილებაში მოთავსებულია ამხ. კობა ჯუღაშვილი-სტალინის წერილი „გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე", რომელიც გამოცემული იყო 1905 წელს რუსეთის სოც. დემ. მუშ. პარტიის კავკასიის კავშირის მიერ. აქვე მოთავსებულია ამხ. ფ. მახარაძის მოხსენება მე-3 კომ. ინტერნ. მეორე მსოფლიო კონგრესის შესახებ. შემდეგ რ. ს. დ. მ. პ. მოხსენება ამსტერდამის საერთაშორისო სოციალისტური კონგრესისადმი 1904 წ., რომელიც იძლევა დახასიათებას და ფაქტების ქრონოლოგიურ აღნუსხვას რუსეთის მუშათა მოძრაობიდან. გადმობეჭდილია აგრეთვე „პროლეტარიატის ბრძოლის ფურცელი" № 12—13 1904 წ. და რიადოვოის (ა. ბუდანოვის) ლექსი „დემონსტრაცია".

ჟურნალის შემდეგი განყოფილებები იძლევა ცნობებს რუსეთის და საქართველოს პარტიის ისტორიის კომისიის მუშაობის შესახებ. ჟურნალს თანდართული აქვს ჟანდარმერიის მიერ გადაღებული ცნობილ რევოლუციონერთა სურათები. საერთოდ ჟურნალი „რევოლუციის მატიანე" თანდათან უფრო მდიდარ და უკეთეს მასალებს იძლევა. უკანასკნელი ნომრები წინანდელთან შედარებით გაცილებით უკეთ არიან გამოცემული როგორც მასალის შერჩევით, ისე ტექნიკური შესრულებით.

ი. ბ.

წერილები რედაქციის მიმართ

ამხანაგო რედაქტორო. სერგო მეგრელიშვილის შეკითხვაზე, რომელიც მოთავსებული იყო თქვენი გაზეთის 11 იანვრის № ში, გთხოვთ მომცეთ საშუალება ვუპასუხო შემდეგი:

1921 წლის დამდეგს ამირჩიეს „ჩოხატაურ-საჯავახოს გზატკეცილის შესაკეთებელ კომისიის" წევრათ. ჩავიბარე შემოწირულების შესაგროვებელი წიგნაკი (№ 11) და 28 პირთა შორის (სია მაქვს) შევაგროვე 209.000 მან. მოგროვილ თანხას დაუმატე ჩემი წვლილი 100.000 მანეთი და თავის დროზე ჩავაბარე კომისიის თავმჯდომარეს (ქვითარი № 49 ხელთ მაქვს).

მე მეტი არაფერი გამიკეთებია. როგორც მაგონდება, მოსაგროვებელი წიგნები 20 თუ 30 დაურიგა თავმჯდომარემ სხვადასხვა პირებსაც მაგრამ მისი სიტყვებიდან ვიცი, რომ უკან არავის ჩაუბარებია.

კომისია არსებობდა დაახლოვებით 1 თვე და, რა თქმა უნდა, ვერაფრის გაკეთება მოასწრო, თუმცალა საქმე მას გულწრფელათ აინტერესებდა.

ეს არის საქმის ფაქტიური მხარე. რაც შეეხება „ბოროტ ენებს", თუ ვინმე აღიმაღლებს ხმას და კონკრეტიულათ იტყვის რამეს, გარწმუნებთ, სათანადო პასუხს მიიღებს.

ვლასი მეგრელიშვილი.

(განმარტებისათვის)

გაზეთ „კომუნისტის" № 32 მოთავსებული წერილის გამო. „დაწესებულებებს კიდევ გაწმენდა უნდა"—პატივცემული გაზეთი თავის მოწინავეში აღნიშნავს, რომ ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად მოწოდებულია მუშათა და გლეხთა ინსპექციაო. განსამარტავად ამისა საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექცია გაცნობებსთ, რომ წერილში აღნიშნული ფაქტი აღმოჩენილია მის მიერ გამოასწორებული სახლების რევიზიის დროს. რევიზიის შედეგები და ეს ფაქტიც, დადასტურებული სათანადო საბუთით, მოხსენდა კოლლეგიას ა/წ. 7 თებერვალს და უკანასკნელმა გამოიტანა შესაფერისი დადგენილება.

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის საერთო ნაწილი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1924 წ. თებერვლის 11.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს.

1923 წ. სექტემბრის 27 თარიღით გამოცემული (ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. მთავრობის კანონთა და განკარგულებათა კრებულის 11-№, 206 მუხ.) დადგენილების შესაცვლელად ჩერვონცზე ნანაგარიშევი მარტივი სალერბო გამოსალების განაკვეთი გადიდებულ იქნეს 10-დან 15 კაპიკამდე, 75 კაპიკიდან 1 მანეთამდე და 1 მან. 25 კაპეიკიდან 1 მან. 65 კაპეიკამდე, ხოლო ამავე გამოსალების უმცირესი განაკვეთი (5 კაპ.) უცვლელად იქნეს დატოვებული.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე
აღამალი-ოღლი.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე მ. ორახელაშვილი.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგიერ
[illegible] შავერდოვი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— **საქართველოს კომ. პარტ. (ბ) ტფ. კ—ტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება** დღეს, 14 თებერვალს, შუადღის 12 საათზე, სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების ბინაზე იწვევს

წითელი არმიის მე-6 წლის თავისა და საქართველოს გასაბჭოების მე-3 წლის თავის დღესასწაულის მომწყობი კომისიის სხდომას.

სავალდებულოა დასწრება პოლიტსეკრეტარიატის, ქართული დივიზიის პოლიტგანყოფილების, პოლიტგანათლების, საქ. პროფკავშირთა საბჭოს კულტ-განყოფილების, საქ. ახალგ. კომკავშირის ტფ. კ—ტის, ტ. კ—ტის ქალთა განყოფილების წარმომადგენლების და რაიკომების სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებათა გამგეების.

ტ. კ—ტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგის მაგიერ
გობეჯიშვილი.

— პარასკევს, ერთიან პარტიულ დღეს მოხდება **გაერთიანებული სხდომა პოლიტექნიკუმისა და მუშათა ფაკულტეტის კომუჯრედებისა,** დღის წესრიგი: ამხ. მიასნიკოვის მოხსენება სრულიად საკავშირო პარტკონფერენციის შესახებ. სხდომა დაიწყება საღამოს 8 საათზე, საზ. მეცნიერებათა ფაკულტეტის ბინაზე, მე-III აუდიტორიაში.

სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის ბიურო.

— ვთხოვ ამხანაგ მუშას, რომელსაც ჩემი აქ არ ყოფნის დროს გამოუგზავნია ჩემთვის წერილი, შემოიაროს ცენტრალურ კომიტეტში ან დამირეკოს ტელეფონით № 1—85 ან 1—89 დილის 10 საათიდან ნაშუადღევს 3 საათამდე.

საქართველოს ცენტ. კ—ტის მდივანი ბ. ლომინაძე.

— 12 თებერვლისათვის დანიშნული მოხსენება ამხ. მამია ორახელაშვილისა,

საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ,

რომელიც ვერ იქნა წაკითხული სრულიად საქართველოს განათლების მუშაკთა კავშირის ყრილობაზე, წაკითხული იქნება 15 თებერვალს, დილის 11 საათზე, რუსთაველის თეატრში.

ყრილობის დელეგატებს გარდა მოწვეულნი არიან განათლების მუშაკთა კავშირის ყველა წევრები.

კავშირის მდივანი.

პარასკევს, 15 თებერვალს, 3 საათზე მუშათა ფაკულტეტის შენობაში შესდგება სახელმწიფო უნივერსიტეტის და მუშფაკის კომუჯრედის კრება. კითხვების ფრიად მნიშვნელობის გამო დასწრება ყველა წევრთა და კანდიდატთათვის სავალდებულოა.

კომუჯრედის მდივანი **დ. თხილავა.**

— **პარტკლუბის გამგეობა** იუწყება, რომ სალიტერატურო სამხატვრო სექციის მორიგი სხდომა მოხდება დღეს, 14 იანვარს, საღამოს 7 საათზე პარტკლუბში (კირკის ქუჩა, მუშკოოპის ბინაზე). დღის წესრიგი: ვ. ი. ლენინის ხსოვნის აღსანიშნავი საღამოს მოწყობის საკითხი. **მოწვეულნი არიან:** ამხ. ხაჭაპურიძე, თოდრია, ა. აკოპიანი, კილოსანიძე, სუტირინი, ეგიკოვი, მედვედევი, იგნატოვი, კუდრიაშევი, რავიჩი, ეული, ზომლეთელი, კუზმინა, ანჩარსკი, ასილოვი, სტორი, კრეიტანი, სააკოვი, ბარტი, პორკოვსკი და ბარშატოვი.

პარტკლუბის გამგეობა.

— **არსენალის რაიკომი** იუწყება, რომ პარასკევს, 15 თებერვალს მოხდება გაერთიანებული კრება ქვემოხსენებულ კომუჯრედების დარგებისა: 1. უჯრ. მედიკოსანიტარული ქარხნისა, ავტო-სახელოსნოსი № 1 და 3, სატრანსპორტო საზოგადოებისა, ს. მეურ. უმაღლესი საბჭოსი და სახელმწიფო ღვინის ტრესტისა შეიკრიბებიან საღამოს 5 საათზე, ც. მუშათა კლუბის ბინაზე (საკონცერტო დარბაზში). მოხსენებას წაიკითხავს **ამხ. ავაკოვი** სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს მოღვაწეობის შესახებ. 2. უჯრ. ტრამვაისა, წყალსადენისა, სანიტარულ-ტექნიკურ განყოფილებისა, ცენტ. ელექტრო-სადგურისა და საბჭოთა მე-2 ელექტრო-სადგურისა იკრიბებიან საღამოს 6 საათზე ჩოდრიშვილის სახელობის კლუბში. მოხსენებას წაიკითხავს **ამხ. ახრიევი** კომუნალური მეურნეობის განყოფილების მოღვაწეობის შესახებ. 3. უჯრ.: მიხეილისა, ალექსანდრეს საავადმყოფოსი და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატისა იკრიბებიან საღამოს 6 საათზე, მიხეილის საავადმყოფოს ბინაზე. **ამხ. კუჭაიძე** წაიკითხავს მოხსენებას ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მოღვაწეობის შესახებ. 4. უჯრედები: რ. ლიუქსენბურგისა და პროლეტარიატის თამბაქოს ქარხნებისა და კოლოფების ქარხნისა იკრიფებიან საღამოს 6 საათზე, რ. ლიუქსემბურგის სახელობის თამბაქოს ქარხანაში. ამხ. პევცოვი წაიკითხავს მოხსენებას თამბაქოს ტრესტის მუშაობის შესახებ. 5. უჯრ.: ცეკავშირისა, ცენტროკავშირისა და მუშკოოპისა იკრიბება საღამოს 6 საათზე მუშკოოპის ბინაზე. მოხსენებას წაიკითხავს ამხ. ტოროშელიძე, ცეკავშირის მოღვაწეობის შესახებ და ამხ. ერისთავი ცენტროკავშირის მოღვაწეობის შესახებ. ყველა წევრებისა, კანდიდატებისა და უჯრედებთან მიმაგრებულთა დასწრება სავალდებულოა. დანარჩენი უჯრედები, რომლებიც ამ განცხადებაში არ არიან მოხსენებულნი, კომუჯრედების კრებებს მოაწყობენ ადგილობრივ.

არსენალის რაიკომის საორგანიზაციო-საინფორმაციო განყოფილება.

საქართველოს საბჭოთა პარტსკოლების თათბირი.

— საქ. კომპარტ. ცენტ. კომიტეტი საბჭოთა პარტსკოლებში გაწეულ მუშაობის შესამოწმებლად და სკოლების მშენებლობაში მომავალ ამოცანათა გამოსარკვევად, ამ წლის 15 თებერვალს **იწვევს საბჭოთა 1 და მე-2 საფეხურის პარტსკოლათა გამგეების თათბირს.**

თათბირის წესრიგი:

1. მოხსენება საქართველოს საბჭოთა პარტსკოლების შესახებ:
2. მოხსენებანი ადგილებიდან, შესრულებულ მუშაობის შესახებ.
3. საბიბლიოთეკო და საკლუბო მოღვაწეობა.
4. პოლიტგანათლება და პარტიული მუშაობა.
5. საკითხი ლექტორების შესახებ და სხვა.

წინადადება ეძლევა საბჭოთა პარტსკოლების ყველა გამგეებს ჩამოვიდნენ ამ თათბირზე და წამოიმძღვარონ ყველა მასალები, რაც კი ეხება საბჭოთა პარტსკოლების შინაგან ცხოვრებას, მის შემადგენლობას და სამოსწავლო მოღვაწეობას.

თათბირი გაიხსნება ც. კ-ტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში.

ს. კ. პ. ც. კ-ტის მდივანი **ქართველიშვილი.**

ც. კ-ტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების გამგე **ორაგველიძე.**

განცხადებები

ღრმა მწუხარებით, მეუღლე ვარლამი, მამა კონსტანტინე, ძმა გიორგი, და მარუსია, ბიძები და ბიცოლები, დეიდები, ბიძაშვილები, ახლობელი მეგობრები და ნაცნობები აცხადებენ უდროვოდ დაკარგვას საყვარელ

ალექსანდრა კონსტანტინეს ასული

ცაგარელი-მნელაძისა

გასვენების დღე 14 თებერვალი დღის 3 ს. განოვის ქუჩა, № 3 ვერის სასაფლაოზე. 892—2—2

ს. მ. უ. ს. სატყეო ტრესტის ცენტრალური სამმართველო, გრეხილ ავეჯეულობათა ქარხანა, № 3 ხე-ტყის სახერხი ქარხანა, ფოთის, ხაშურ-შორაპნის, აწყურის და კახეთის ხე-ტყის დამამზადებელი რაიონები და აგრეთვე წაბლარას ხევის, შამგონის, ხონის, ნატანების ხე-ტყის სახერხი ქარხნები და ქუთაისის ხე-ტყის საწყობი მწუხარებით აუწყებენ მის ძვირფას თანამშრომლის

ალექსანდრა კონსტანტინეს ასულის

ცაგარელი-მნელაძის

უდროვოდ გარდაცვალებას. გამოსვენება მოხდება 14 თებერვალს, დღის 3 ნახ. საათზედ საკუთარ ბინიდან—განოვის ქუჩა № 3.
537—1—1

ღრმა მწუხარებაში მყოფი გაუნელებელი მამა [illegible] იმნაიშვილი, გულ მოკლული დები ანიჩკა დოლიძისა და ასმათი ლომაძისა, სიძეები ლადიკო დოლიძე და გიორგი ლომაძე, [illegible] და ძმისშვილი ტატიანა იმნაიშვილისა, დისწულები [illegible]ურა, თამარა და სერიოჟა დოლიძეები, აუწყებენ ამხანაგებს და ნაცნობ-მეგობრებს, რომ ხუთშაბათს, 14 თებერვალს, ვერაზე, ნიკოლოზის ეკლესიაში გადახდილი იქნება პანაშვიდი, მათი ძვირფასის და დაუვიწყარის უდროვოთ დაკარგულის

დიომიდე ნიკოს ძე

იმნაიშვილის

წლის თავის აღსანიშნავათ 1924 წ. 532—1—1

ღრმად დამწუხრებულნი ალათი ბიბილაშვილისა და ნინა და ვლადიმერი გეხტმანები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ სამშაბათს, 12 თებერვალს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის დაუვიწყარი შვილი, მეორესი და, ხოლო მესამესი ცოლის და

თამარა ვლადიმერის ასული

ბიბილაშვილი

გამოსვენება მოხდება რკ. გზის საავადმყოფოდან ხუთშაბათს, 14 თებერვალს, ნაშუადღევს 3 საათზე, დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე.
538—1—1

ვ. ი. ლენინის სახელობ.
სახალხო აკადემიური
ოპერის თეატრი

ხუთშაბათს, 14 თებერვალს
საქართვ. წითელი ჯვრის
წარმოდგენა
ჯამბაზები
ლიდია სემიონოვას პირველი
გამოსვლისათვის შესრულებული იქნება
ბალეტის დიდი დივერტისმენტი
მ. გ. დისკოვსკის ხელმძღვანელობით

ნის. 894 2—2

ზემო-ავჭალის ჰიდრო ელსადგურის აგების კომიტეტი ამით აცხადებს

შეჯიბრებას

შემდეგ მოწოდებაზე:

1. შიშველი სპილენძის ელექტრონის სადენი:
70 ოთხკ. მილ. სიმსხოის . . . . . 200 ფუთი
50 „ „ „ . . . . . . 40 „
2. განმხოლოებელი (იზოლიროვანი) ელექტრონის სადენი:
70 ოთხკ. მილიმ. სიმსხოის . . . . 160 მეტრი
50 „ „ „ . . . . 40 „
25 „ „ „ . . . . 150 „
16 „ „ „ . . . . 500 „
10 „ „ „ . . . . 100 „
6 „ „ „ . . . . 100 „
4 „ „ „ . . . . 350 „
1,5 „ „ „ . . . . 500 „

განცხადებები სრულ ან ნაწილობრივ მოწოდების შესახებ აღნიშვნით ფასების ჩერვ. მანეთში ფრანკო ტფილისი, შემოტანილი უნდა იქნენ სამუშაოთა სამმართველოს სამასალო განყოფილებაში არა უგვიანეს ამა თებერვლის 15 დღის 12 საათისა (ლადო დუმბაძის ქ. № 3). განცხადებასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნეს საწინდარი 5 პროც. რაოდენობით სრული თანხიდან.

3—3 № 378. სამუშაოთა უფროსი, ინჟინერი ჭიჭინაძე

ელექტრონის და სინათლის
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდები ექიმობას საჭიროებენ
სამკურნალო სწარმოებს **ექ. სვიმონ ყიფშიძის** ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. 126—25—17

ექიმი
კ. გ. ვართანოვი
სიფილისი, კანისა და ვენერიული სნეულებანი. ავადმყოფებს ღებულობს დილის 10—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: სურამის ქ. № 9. ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს მახლობლად. 499—25—6

დაიკარგა მოწმობა, მიღებული ტფილისის საარტილერიო საწყობების სამმართველოდან № 371 ილია მაღულარიას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 533—1—1

დაიკარგა დაზღვევის წიგნაკი № 4990 მაქსიმე ჯოხაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 534—1—1

დაიკარგა პასპორტი, მიღებული დაღესტანის ოლქში ბაბა მირზა ბალა ოღლის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 524—1—1

დაიკარგა საბჭოთა მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის საწევრო წიგნაკი № 7984. კონსტანტინე ჭეიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 534—1—1

დაიკარგა პარტიული ბილეთი № 5573 1920 წ. გიორგი ესტატეს ძე ბლიაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად, 1—1

დაიკარგა მეტრიკული მოწმობა № 1523 და საღრიცხვო ბარათი № 247. ქრისტეფორე ალექსანდრეს ძე ნაზარაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 535—1—1

1924 გრძელდება ხელისმოწერა 1924

რუსეთის კომპარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის და მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის ყოველდღიურ დიდ გაზეთ

„ზარია ვოსტოკა"-ზე

(გამოდის ტფილისში 4—6—8 გვერდით)

რედაქცია და მთავარი კანტორა: რუსთაველის პროსპექტი № 8.

რედაქციის განყოფილებანი:
მოსკოვი—პურის შესახვევი № 3. ბინა 30.
ბაქო . . —მერკურიევსკი № 3. ტელეფ. 5—33.
ერევანი —პრესის სააგენტო.
ბათომი —მესამე ინტერნაციონალის 33. ტელ. 19—2

საკუთარი კორესპონდენტები: ბერლინში, რომში, ვარშავაში, ლონდონში.

საკუთარი კორესპონდენტები, მუშკორები, გლეხ. კორესპონდენტები და სამხედრო კორესპონდენტები ამიერ-კავკასიის ყველა ქალაქებში, სოფლებში და სამხ. ნაწილებში.

ხელისმომწერთათვის გადასახადი ჩერვონცებში გამოანგარიშებით.

ქალაქში:	სხვა ქალაქებში:
1 თვით 1 მ. 50 კ. ჩ.	1 თვით 1 მ. 75 კ. ჩ.
6 „ 8 „ — „ „	6 „ 9 „ 50 „ „
1 წლით 15 „ — „ „	1 წლით 18 „ — „ „

კოლექტიურად ხელის მოწერის დროს—მუშების, მოსამსახურეების, წითელარმიელების და პარტიულ ორგანიზაციებისათვის —არსებობს შეღავათი 25 პროც. რაოდენობით.

ცალკე ნომერის ფასი ა.-კავკასიის ყველა ქალაქებში 7 კ. ჩ. (ოქ. კაპ.)

მიიღება განცხადებები მთავარ კანტორაში (რუსთაველის პრ. № 8) და რედაქციის ყველა განყოფილებებში. 3—1.

ჩვენი პრემიები:
„ზარია ვოსტოკა"-ს ორკვირეული ჟურნალი
„პლამია."
ორკვირეული საილიუსტრაციო, სალიტერატურო-სამხატვრო და სატირიული ჟურნალი.
სამი თვით ხელისმომწერნი (როგორც ინდივიდუალურად, ისე კოლექტიურად) ღებულობენ უფასოდ ორკვირეულ ჟურნალს
„პლამია"-ს

ჩვენი პრემიები:
1924 წლისათვის
„ზარია ვოსტოკა"-ს
წიგნთსაცავი.
1. ჯემალ ფაშას მემუარები. წიგნი უკვე გამოვიდა და შეიცავს 200 გვერდს. ცალობით წიგნი ღირს 1 მ. ჩერ. ნახევარი წლით ხელის მომწერნი მიიღებენ წიგნს თებერვლის დასასრულს.
2. ამიერ-კავკასიის სტატისტიკურ-ეკონომიური კრებული (650 გვერდი) ამ კრებულის დაწვრილებით სათაური გამოცხადებული იქნება ცალკე.
3. თანამედროვე მწერლების ალმანახი. (რუსული, ქართული, სომხური და თურქული ლიტერატურის საუკ. ნაწარმოებები). ნახევარი წლით ხელის მომწერნი (როგორც ინდივიდუალურად ისე კოლექტიურად) ღებულობენ უფასოდ „ზარია ვოსტოკა"-ს წიგნთსაცავს და ორკვ. ჟურნალს „პლამია"-ს.

„ზარია ვოსტოკას" სტამბა, საბ. წულუკიძის ქუჩა № 4.